# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 5 ოქტომბერი 2002 №189 (1711) | ფასი 50 თეთრი


დავით მუჯირი ნაკრებში სასწრაფოდ გამოიძახეს

# ჩივაძეს მუჯირი დასჭირდა

## საქართველო რუსეთს ახალი ხალხით დახვდება

რუსეთის ნაკრებთან უპრინციპულესი მატჩის წინ საქართველოს ეროვნულ გუნდში საგრძნობი დანაკლისია — 12 ოქტომბერს ვერ ითამაშებს გოჩა ჯამარაული, რომელსაც მამა გარდაეცვალა. ნაკრებს, რომელსაც ყოველთვის აწუხებდა ხეირიანი გამთამაშებლის პრობლემა, რთული მდგომარეობა შეექმნა, ვინაიდან ალექსანდრე ჩივაძემ გიორგი ქინქლაძე ამჟამად ნაკრებისთვის გამოუსადეგრად მიიჩნია.

ჩივაძე გუშინ თავად ესაუბრა ჯამარაულს და, ბუნებრივია, გოჩასგან ნაკრებში თამაშზე უარი მიიღო.

მწვრთნელმა კი გუშინვე გადაწყვიტა და ეროვნულ გუნდში პირველად მიიწვია ავსტრიული „შტურმის" ნახევარმცველი დავით მუჯირი, რომელიც კარგა ხანია, ნაკრების კანდიდატად ითვლება, მაგრამ ოფიციალურ მატჩში ჯერაც არ უთამაშია. „შტურმში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოძახება გუშინვე გაგზავნა და, ცხადია, დავით მუჯირსაც შეეხმიანა.

— რა თქმა უნდა, გამიხარდა. რუსებთან სათამაშოდ მზად ვარ და მწვრთნელმა გადაწყვიტოს, ძირითადში მექნება ადგილი თუ სათადარიგოებში. რუსეთთან მატჩი, ნებისმიერი ქართველივით, ჩემთვისაც მეტად მნიშვნელოვანია — გვითხრა დავით მუჯირმა, წუხელ გრაცში რომ დავუკავშირდით. მასთან ინტერვიუ მეორე გვერდზე იხილეთ, აქ კი შეგახსენებთ, რომ მუჯირმა ბოლო დროს „შტურმის" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და უგოლოდ მოედანს არ ტოვებს. თუმც სხვა საქმეა, როგორ შეცვლის ჯამარაულს.

აქვე ერთსაც გამცნობთ: ალექსანდრე ჩივაძემ გამოძახებულ ცხრა ლეგიონერს პოლონური „ამიცას" ნახევარმცველი მამია ჯიქიაც დაამატა.

**კობა ინასარიძე**

# კალათბურთიც იწყება!

## ახალ ჩემპიონატში ახალი ბევრია. იქნებ ჩემპიონიც?!

დღეს ვერის ბაღში მე-12 ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი იწყება, ცოტა გასაკვირი კია და, ყოველგვარი გადადება-გართულების გარეშე. 9 ხელგაშლილმა თუ ხელმოკლე მონაწილემ დროულად აფრინა კალათბურთის ახალი ფედერაციის ძველ ოფისში განაცხად-სიები და სამონაწილეო თანხაც ყოველგვარი ხვეწნა-იძულების გარეშე დადეს, ყოველ შემთხვევაში, გარედან მაინც ასე ჩანს. ერთი სიტყვით, ახალი ფედერაცია რაიმე სკანდალის კი არა, ყოველგვარი ჩივილწუწუნის ტრადიციული ფონის გარეშე იწყებს თავისთვის პირველ ჩემპიონატს, რომელიც საკმაოდ ბევრით განსხვავდება წინამორბედისგან.



ფული ეროვნულ ჩემპიონატსაც ანათებს და ამის დასტურად ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მოვიყვანთ თბილისის „დინამოს". ბადრი პატარკაციშვილის ხელდასხმულ უძველეს ქართულ საკალათბურთო კლუბს ამბიციები აგრერიგ მას შემდეგ არ მოსძალებია, რაც დიდ ქვეყანას გამოვეყავით. „დინამოს" დროშის ქვეშ შეკრებილან ეროვნულ ჩემპიონატს შერჩენილთა შორის რჩეულები და ერთადერთ მიზნად ყველა სხვა შინაურზე აღზევება დაუსახავთ. სხვა შედეგზე ფიქრს „დინამო" საკუთარ თავს უკრძალავს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათ ჩემპიონატში ოქრო არ სჭერია ხელში. „დინამოს" მოსუქების საპირისპიროდ ბოლო სამ ჩემპიონატში ყველასმჯობნ ბათუმის „ბასკოს" მოაკლდა ქონი. ზღვისპირელები ახლა გაცილებით მოკრძალებულები არიან, ვიდრე ოდესმე.

და ერთი სიახლეც: მე-12 ეროვნული ყველა წინა ჩემპიონატის მონაწილე „შევარდენის" გარეშე იწყება. „შევარდენის", რომელიც უკვე აღარ არსებობს, ადგილს საკალათბურთო აკადემიის უწლოვანთა გუნდი დაიჭერს და ეცდება, პირველ სეზონში სსუ-სა და „ქუთაისის" გარდა ვინმე სხვასაც მოუგოს თუნდაც ერთი თამაში.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი


საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონები: რაფაელ ჩიმიშკიანი, მზია ჯუღელი და დავით ციმაკურიძე

# საქართველოს ოლიმპიური დებიუტი

## 1952 50 2002

## ჰელსინკი თბილისი

საქართველოს 14 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი **10 ტური**

თბილისი. 4 ოქტომბერი. 16 საათი. მშვარდენი. 100 (ტევადობა 2 000)

## ვიტ ჯორჯია 2:0 გორდა

| |
|---|
| 1:0 კობიაშვილი (3), 2:0 მელქაძე (21) |
| **ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, იმ. კორველი, დოლიძე, დოლმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გ. გოჩაშვილი, ადამია (ცველქაიანი 69), ყიფიანი, გ. მერებაშვილი (ბერულიძე 84), მელქაძე (წერეტელი 77) სათადარიგონი: მამარდაშვილი, ლ. მერებაშვილი, ფუტკრიშვილი, დ. ბოლქვაძე **მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი |
| **გორდა:** ჩლაიძე, თავბერიძე, ა. ბურნაძე, არსოშვილი, ზაზაშვილი (ბერიძე 36), ზვ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე, კ. ალადაშვილი, ჩოხელი, გოცირიძე (ბუცკია 56), ჯელაძე (ხიქოშა 71) სათადარიგონი: ბედიაშვილი, პაპაშვილი, სოხაძე, ქერაშვილი **მწვრთნელი:** იასონ ალადაშვილი |
| **მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ზ. ჯგარიძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. მეშკოვი (თბილისი) |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო |
| ჯარიმა: 16-18; კუთხური: 9-4; კარისკენ დარტყმა: 6-2; კარში დარტყმა: 8-1; თამაშგარე: 2-6 |

# ჯორჯია ჯანზეა, გორდა განზე

**მამუკა კვანტალიანი**

**ნავთლუღში,** თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, რუსთაველთა ფორვარდი რევაზ გოცირიძე უახლოესი აფთიაქისკენ მიიჩქაროდა. ფეხბურთელი ლეიკოპლასტირს დაეძებდა და დანახარჯი საკუთარი ჯიბიდან უნდა აენაზღაურებინა. „გორდას" ხომ სადღეისოდ ბევრი სიკეთე აკლია.

ჰოდა, როგორი პირობებიც აქვთ რუსთაველებს, ფეხბურთსაც ისეთს თამაშობენ. იასონ ალადაშვილის გუნდიც ერთ-ერთი უსუსტესია ლიგაში. არადა, ერთი შეხედვით, თითქოს შემადგენლობას არა უშავს, მაგრამ თამაში მაინც არ გამოსდით.

გუშინ „შევარდენზე" „ვიტ ჯორჯია" სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდა. ჯანი კარნევალიმ მატჩი სულაც ორი მცველით დაიწყო, მათ წინ ხუთი შუახაზელი გაამწესა და სამი ფორვარდით შეუტია.

კიდევ კარგი, ვიტელებმა 90 წუთში შექმნილი საგოლე მომენტების ნახევარიც ვერ გამოიყენეს, თორემ საბოლოო ანგარიში მართლაც რომ სამარცხვინო იქნებოდა სტუმრებისთვის.

მელქაძე, ადამია, გოჩაშვილი, დოლიძე, მერებაშვილი ერთიმეორეს მიყოლებით ანიავებდნენ საგოლე მომენტებს. ოფლად იღვრებოდა სტუმართა მეკარე ჩლაიძე, მან ნაირ-ნაირი სირთულის ბურთები მოიგერია და მთელ თამაშში სამჯერლა ჩამოუშვა ულონოდ ხელები.

ჯერ იყო და, მესამე წუთზევე ცხადი გახდა გამარჯვებულის ვინაობა. ადამიამ კუთხური ჩამოაწოდა, ბურთი საჯარიმოში ამხტარ მცველს თავზე გადააფრინდა და კობიაშვილმაც თავური გაიტანა.

მერე 21-ე წუთზე, როგორც იქნა, მელქაძემ სამიზნე გაისწორა. ლევანმა ყიფიანისგან უზუსტესი პასი მიიღო, თავით ბურთი საჯარიმოში შეიყოლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ახლო კუთხეში გაიტანა.

მესამედ მეორე ტაიმში დარჩა უსაქმოდ ჩლაიძე. დოლიძის დარტყმულს თვალიღა გააყოლა, თუმც დამაშვრალ მეკარეს ღმერთმაც გადმოხედა და ბურთი ჯვარედინმა უკუაგდო.

ზემოთ ყიფიანის უზუსტესი პასი ვახსენეთ. გიორგიმ იმის გარდა სხვა პასებიც არიგა. თითქმის ყველა მისი გადაცემა სტუმართა საჯარიმოში ხიფათით მთავრდებოდა. ეტყობა, ვიტელთა კაპიტანყოფილი ნელ-ნელა ჩვეულ ფორმასაც იბრუნებს.

რუსთაველთა გუნდის ხელმძღვანელობაში კი მორიგი ცვლილებებია მოსალოდნელი. ალბათ, კვირას „გორდას" თავკაცად გია გეგუჩაძეს დანიშნავენ, რომელიც ადრეც წვრთნიდა რუსთაველებს და აზრიან ფეხბურთსაც ათამაშებდა.

გეგუჩაძე სწრაფად მზარდი და პროგრესირებადი მწვრთნელია, თუმც თუ კლუბმა ნორმალური სამუშაო პირობები არ შეუქმნა, არა მგონია, საქმეს ეშველოს.

ნამატჩევს მთლად კარგ ხასიათზე ვერ იყო ვიტელთა იტალიელი თავკაცი. სინიორ ჯანის გაფლანგული საგოლე მომენტები აღარდებდა:

„ბიჭები საბოლოო დარტყმამდე ყველაფერს სწორად აკეთებდნენ. მართალია, მეტოქე თამაშში დაჩაგრეს, მაგრამ შრომით შექმნილ მომენტს გამოყენება უნდა. მესმის, რომ გამარჯვებაში ნაადრევად დარწმუნდნენ. 21-ე წუთისთვის შედეგი განაღდებული გვქონდა, თუმც უფრო ძლიერ გუნდებთან გოლის ვერგატანა შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს."

იასონ ალადაშვილის გულისტკივილიც გასაგებია:

„მშიერ-მწყურვალი გუნდი უკეთეს შედეგს ვერ მიაღწევს. ჩვენს წვრთნას ვარჯიში არ ჰქვია და თამაში თავადაც ნახეთ, რა იყო. სამი თვეა, ბიჭებს ხელფასები არ აუღიათ. ფეხბურთელს, რომელიც ყოველ ცისმარე დღეს იმის ფიქრშია, მშიერი ოჯახი როგორ დააპუროს, მოედანზე თავდადებას ვერ მოსთხოვ. თუ საქმე სასიკეთოდ არ შეიცვალა, „გორდას" ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება."



რუსთაველმა დავით ბერიძემ ვიტელ ვლადიმერ გოჩაშვილს ლამის თავი წააცალა

# მუჯირმა შტურმი აიტანა და გაიტანა

## ქართველს ნაგებულიც მოგებული ჰგონია

იღბლიანი გამოდგა ივიცა ოსიმისა და გრაცის „შტურმის" გაყრა — მწვრთნელის წასვლის მერე გუნდმა მოგებებს უხშირა, აქამდე სათადარიგო დავით მუჯირი კი უკვე გუნდის ლიდერია. ჩვენებურის წარმატებული თამაში სასიხარულოა და ვინძლო, საქართველოს ნაკრებსაც ყბადაღებული გამთამაშებლის პრობლემა მოეხსნას.

დავით მუჯირმა და „შტურმმა" გუშინწინ შოტლანდიური „ლივინგსტონი" დაიფრინეს უეფას თასიდან. ქართველმა ამ მატჩში გოლით გამოიჩინა თავი და ორჯერ თანაგუნდელ საბიჩსაც გაატანინა. ვფიქრობთ, ჩვენი კომენტარი უკვე ზედმეტია და ჯობს, თავად დავითს მოვუსმინოთ, რომელიც გუშინ გლაზგოს აეროპორტში მოვიხელთეთ.

— შემდეგ ეტაპზე გავედით და გრაცშიც კარგ ხასიათზე მივფრინავთ. ბოლოხანს გუნდი წარმატებით თამაშობს, რაც ძალიან მახარებს.

— „ლივინგსტონთან" გაგიჭირდათ?

— თავიდან ძალიან აგრესიულად დაიწყეს და მწვავედაც შემოგვიტიეს შოტლანდიელებმა, თუმც ეს შტურმი გადავიტანეთ. შემდეგ თამაშიც გავათანაბრეთ. მერე გოლი კი გავუშვით, მაგრამ მალევე ყველაფერი დავალაგეთ. ერთი მე გავიტანე, ორჯერ საბიჩს გავატანინე და თამაშიც გაკეთდა. 1:3-ზე მეტოქეს უკვე შანსი აღარ ჰქონდა.

ბოლოს მწვრთნელმა გამომცვალა. ჩემთან ერთად ორი წამყვანი ფეხბურთელიც დაასვენა და ამით „ლივინგსტონმაც" ისარგებლა. ისე 1:3-ზე ალბათ ნებისმიერი გუნდი მოდუნდებოდა, მით უმეტეს, შინ 5:2 გვქონდა მოგებული.

— გოლი როგორ გაიტანე?

— მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, მოედნის ცენტრში ბურთი რომ მივიღე, მეურვე ჩამოვიშორე და საჯარიმოსთან მიახლოვებულმა მარცხენა ფეხით კარში დარტყმა გადავწყვიტე. თუმც მცველი ვარდნაში წამოვიდა და მისი მოტყუებაც დამჭირდა. მერე კი მარჯვენა ფეხით შორეულ კუთხეში შევაგდე.

— როგორც ჩანს, დროებითმა მწვრთნელმა ფრანკო ფოდამ კარგად გაართვა თავი საქმეს. კლუბის ხელმძღვანელობა მის გუნდში დატოვებას ხომ არ აპირებს?

— არა მგონია, ასე მოხდეს. ფოდას ხელში „შტურმმა" ყველა თამაში კი მოიგო („ლივინგსტონთან" მატჩსაც მოგებულად ვთვლი), მაგრამ... ის მაინც ახალგაზრდაა და, ალბათ, სეზონის ბოლომდე ვერ ენდობიან.

— კრისტოფ დაუმის „შტურმში" დანიშვნა ჯერაც არ გადაწყვეტილა, თანაც ახლახან დონეცკის „შახტარმაც" შესთავაზა დაუმს სამსახური...

— ეს მეც გავიგე. მაგრამ საქმე ისაა, რომ დაუმმა 7 ოქტომბრამდე უნდა აცნობოს „შტურმის" ხელმძღვანელობას საბოლოო პასუხი. ასე რომ, მისი საკითხი მალე გაირკვევა.



— ჩემპიონატში უკვე სამეულშიც შეხვედით. რა არის „შტურმის" მიზანი ამ სეზონში?

— კონკრეტულად ჩვენთვის არაფერი დაუგეგმავთ. ჩემპიონობაზე ხელი ჯერაც არ ჩაგვიქნევია, სეზონის ბოლომდე ხომ კიდევ დიდი დროა დარჩენილი. უეფას თასზე კი რაც უფრო ბევრ ეტაპს გავივლით, მით უკეთესი. თუმც იმასაც გააჩნია, ვინ შეგვხვდება...

— მალე რუსეთთან თამაში გვიწევს. შენ კი დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებში გიხმეს...

— ადრეც მითქვამს, როცა ნაკრებს დავჭირდები, ყოველთვის მზად ვარ, ჩემი ქვეყნის ღირსება დავიცვა. ალბათ, ახლა ჩათვალეს ჩემი მზადყოფნა საკმარისად. ძალიან მიხარია, რომ რუსეთთან თამაშის შანსი მომეცა. დარწმუნებულნი იყავით თავს არ დავზოგავ.

— მოულოდნელი იყო შენთვის ნაკრებში გამოძახება?

— კი, რადგანაც როგორც ვიცი, ალექსანდრე ჩივაძეს სარუსეთოდ ლეგიონერთა ვინაობა უკვე გარკვეული ჰქონდა. მე კი იმ სიაში არ ვიყავი.

— კლუბისგან რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნება?

— არა, რა პრობლემა უნდა შემექმნას. მოწვევა კლუბშიც მივიდა. მომდევნო ტურში „შტურმს" დავეხმარები, მერე კი თბილისშიც გამოვფრინდები.

**ბაჩა შალამბერიძე**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელ გოჩა ჯამარაულს **მამის** გარდაცვალების გამო

### გერმანია

II ბუნდესლიგა. VIII ტური

ბურგჰაუზენი 4:2 ბრაუნშვაიგი
ფრაიბურგი 4:1 ვალდჰოფი
ზანქტ პაული 0:0 ობერჰაუზენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XI ტური

ბაბელსბერგი 2:2 პადერბორნი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XI ტური

ლე მანი 3:0 ნანსი
ამიენი 1:0 ლავალი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. VII ტური

ვალვაიკი 0:2 ზვოლე

II დივიზიონი. VII ტური

კამბური 2:1 სიტარდი
ვოლენდამი 4:2 ვენლო
იგლსი 1:1 ჰაარლემი
ემენი 1:0 დენ ბოსხი
ჰელმონდი 5:2 დორდრეხტი
სპარტა 5:2 ვეენდამი
ჰერაკლესი 3:1 მაასტრიხტი
ოსი 2:2 ეინდჰოვენი

### ბელგია

I დივიზიონი. VIII ტური

ლუვიე 2:1 ბევერენი

### პოლონეთი

IX ტური

გურნიკი 4:0 ოდრა

### დანია

სუპერლიგა. XI ტური

ოლბორგი 1:2 ორჰუსი

### შვეიცარია

A ჯგუფი. XV ტური

იანგ ბოისი 4:2 ვილი

## სვეტი

ბ. გოგელაშვილისა

# დინამოსთვის

თბილისის „დინამომ" ვერაფერი დააკლო ლიბერეცის „სლოვანს", თუმცა, ცდისთვის არაფერი დაუკლია: იწვალა, იჯახირა, იბრძოლა და ბოლოს მაინც ვერაფერი დააკლო. ეს ბრძოლა სასახელოა, წვალება მისასალმებელი და სამადლობო. ცხადია, რომ პირველი თამაშის შემდეგ, გაჩნდა იმედი, რომ სწორად მოთამაშე „დინამო" რაღაცას მოახერხებდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩეხებს მეტი ინსტრუმენტი და საშუალება ექნებოდათ მეორე თამაშისთვის, ვიდრე „დინამოს". ეს ასეც მოხდა და საკვირველიც არაფერია. ის, რაც ასე თუ ისე ჰყოფნის საქართველოს ჩემპიონატს, ძნელად რომ ეყოს უეფას თასის თუნდაც პირველ ეტაპს.

დღეს ევროპაში პრობლემაა: ეს არის შანსების შემცირების პრობლემა. სულ უფრო თვალშისაცემია სხვაობა დიდსა და საშუალოს, საშუალოსა და ჩვეულებრივს, ჩვეულებრივსა და პატარას, პატარასა და სუსტს შორის. ანუ, აქა-იქ ფეხბურთი უკვე კარგავს დემოკრატიულობას, რასაც ჩემპიონთა ლიგის ასტრონომიული ანგარიშებიც ცხადყოფს. ამის ფონზე კი წარმოუდგენელია დღევანდელი თბილისის „დინამოს" თუნდაც პატარა წარმატება.

თუმცა, ფეხბურთი მაინც რჩება ყველაზე გამოუცნობ და თავისუფალ თამაშად, სადაც ერთ რომელიმე თამაშში ყველას ყველაფერი შეუძლია ხოლმე. ფეხბურთში ყოველთვის გაქვს რალაც კოზირი, რომლის გამოყენებაც შეიძლება. აი, მაგალითად, „გალათასარაი" მასპინძლობს „ბრიუგეს" და გასაგებ მიზეზთა გამო სრულ უმრავლესობას მიაჩნია, რომ უნდა დაფშვნას დღეს პატარა ბელგიური კლუბი. მაგრამ „გალათა" ვერ ახერხებს იმის გაკეთებას, რაც უნდა, ვერ ერევა „ბრიუგეს", არც გამოსდის ის, რაც ასე კარგად იცის საკუთარ სტადიონზე. „ბრიუგეს" არც განსაკუთრებული დაცვა აქვს, არც წიხლაობს, არც გიჟდება, მაგრამ უგოლო ფრე მიაქვს სტამბოლიდან, იმიტომ რომ „ბრიუგეს" აქვს საფეხბურთო კულტურა, ალბათ მეტი, ვიდრე „გალათასარაის". „ბრიუგე" ვერ შეედრება „გალათას" ვერც აგრესიით, ვერც შემსრულებლებით, მაგრამ სჯაბნის მას საფეხბურთო კულტურით და დგება მომენტი, როცა ეს ფაქტორი გადამწყვეტი ხდება. ასეთია ფეხბურთი. „ბრიუგემ" ეს მომენტი დაიჭირა, „გალათასარაიმ" კი ვერაფერი გააწყო.

თბილისის „დინამოში" კი სწორად მუშაობენ. თუ გუნდს ფეხბურთელები დაემატებიან, გაისად „ლიბერეცი" ველარ მოგვერევა. თანაც, ამბობენ, ბილ შენკლიმ თქვა, ფეხბურთი სიცოცხლისა და სიკვდილის საქმეაო. ტყუილიაო, ფეხბურთი ბევრად სერიოზული საქმეა, ვიდრე სიცოცხლე და სიკვდილიო. მიდი და ნუ მოითხოვ მეტს შენი გუნდისგან.



# ნუ ჩააქვავებთ ქართულ ფეხბურთს!

ქართველ ქომაგთა ერთი ნაწილი გვარიანად გაიწაფა ქვის და ბოთლის სროლაში. ვერაფრით დავიჯერებთ, რომ მიზეზი მსაჯთა შეცდომა ან მეტოქე ფეხბურთელთა უზრდელობა იყოს — ეს საბაბად თუ გამოდგება და ისიც საეჭვოა, სტადიონზე ქვით მისულ კაცს საბაბის პოვნა გაუჭირდეს და საერთოდ სჭირდებოდეს პოვნა. უნდა და ისვრის. სროლა თავისი გუნდის გასამხნევებლად „დინამო, დინამოს!" ძახილზე იოლად ეჩვენება.

სამწუხაროა, რომ ეს ხალხი არ ფიქრობს შედეგებზე. მათ არც კლუბის გადასახდელი ჯარიმა ადარდებთ და არც სტადიონის შესაძლო დისკვალიფიკაცია. ჯარიმა მათი ჯიბიდან არ არის გადასახდელი, ხოლო თუ სტადიონს დახურავენ, ქვას სადმე სხვაგან ისვრიან.

ისინი არც იმაზე დაფიქრებულან, რომ ქვა და ბოთლი, შესაძლოა, ტრიბუნაზე მათ ქვევით მჯდომ მაყურებელს მოხვდეს და უბედურება დატრიალდეს.

ქვასროლიობის პრობლემა ქართული ფეხბურთისთვის ახალი ხილი არაა. საერთაშორისო მატჩები ჩვენში იშვიათად ტარდება, თორემ შინაური პირველობის ლამის ერთი ტური ისე არ ჩამთავრებულა, სადმე ქვა არ გავარდნილიყოს და ნიხლი არ მოქნეულიყოს.

ჩვენ ნაკლებად გვაქვს იმედი, რომ ქვასროლიები ამ გვერდს წაიკითხავენ და გონს მოეგებიან. უფრო იმის გვჯერა, რომ პოლიცია, ბოლოს და ბოლოს, თავის საქმეს მიხედავს ანუ სტადიონზე წესრიგის დაცვას მეტი გულმოდგინებით შეუდგება. ჯერჯერობით კი ასეა: პოლიციელები ხულიგნებს შორიდან უყურებენ და შორიდანვე ემუქრებიან, მანდ არ ამოგვიყვანოთო. ხულიგნებს მუქარის, ცხადია, არ ეშინიათ. სხვათა შორის, ხუთშაბათს „ეროვნულზე" ნასროლი ქვები პოლიციელებსაც მოხვდათ.

და კიდევ — რომელ ჭკუათმყოფელს მოსდის აზრად ხალხმრავალი მატჩებისას სტადიონზე შესასვლელი და ტრიბუნებზე ამავალი შესასვლელების საგულდაგულოდ ჩარაზვა და და ოდენ ერთი ვიწრო გზის დატოვება? ასე გულმოდგინედ, გარწმუნებთ, საქართველოს საზღვარი არ არის ჩაკეტილი. „ეროვნული" მხოლოდ ავეჯის გამყიდველთათვის არის ღია.

მართლაცდა რატომ? ნუთუ სტადიონის დირექციას ერთი სული აქვს აქაც „ენფილდისა" და „ლუჟნიკის" ტრაგედია გამეორდეს? რამდენი წელია ვფიქრობთ და გონივრული ახსნა ვერ გვიპოვია. ვეჭვობთ, გონივრული ახსნა არც არსებობს. ქვასროლიების არ იყოს, უნდათ და კეტავენ.

გიორგი დარჯანია

# აი, თითი! აი, ქვა!



„დინამომ" „ლიბერეცთან" წააგო, მაგრამ ასეთი წაგება შეურაცხყოფას არავის აყენებს. გუნდმა იბრძოლა და ეპიზოდურად ფეხბურთი ითამაშა, რაც ძალიან განსხვავდება იმ ლასლასისგან, ბოლო წლებში საქართველოს ნაკრები და კლუბები რომ მისდევენ. ეს ამ ეტაპზე წინ გადადგმული ნაბიჯია.

მაშ, რატომ ალშფოთდა ჩვენი ქომაგი? რატომ გადმოაგდო მოედანზე აი, ეს ქვა და კიდევ სხვა მრავალი საგანი — როგორც მოედნის კიდესთან მდგომი ფოტორეპორტიორები ამბობენ — კარტოფილის ჩათვლით? იმიტომ, რომ აი, ამგვარი თითის დანახვაზე გაწრისხდა. ქართველი ძალოვანი, რომელმაც თითის გამოშვერ უცხოელს სილაქიც კი უთავაზა, ხალხთან ერთად გახლდათ ალშფოთებული ანუ ჩვენს წინაშე შედგა სამართალდამცავი სტრუქტურისა და მოსახლეობის წამიერი ურთიერთგაგების აქტი.

ოღონდ, დაგვეთანხმებით, დავიდარაბა სულაც არ არის ის, რაზეც ჩვენ ვოცნებობთ! გასაგებია, რომ თითის დანახვაზე ვბრაზდებით, მაგრამ აქ ორი საკითხია, ერთი უფრო უმნიშვნელო, მეორე უფრო მნიშვნელოვანი.

პირველი: ვინც თითს იშვერს, ტუტუცია!

მეორე: ტუტუცის დასჯის საუკეთესო საშუალებაა მისთვის ტაბლოს ჩვენება, ოღონდ, ამ დროს, ტაბლოზე უნდა ეწეროს ისეთი რამ, რაც დაანახვებს, რომ ტუტუცთან ერთად არითმიცაა.

ასე რომ, ისევ იქ მივდივართ, სადაც ძაღლის თავი გვეგულება დამარხული: სტადიონზე თითების გამოშვერის ამბავს გოლები არეგულირებს! რაღაც არ გვახსენდება, როდესაც „დინამო" დინამოობდა, ვინმეს თითების ჩვენების გუნებაგანწყობა ჰქონოდა.

თუ ათასში ერთხელ, რომელიმე ინგლისელი საგანგებოდ, საჩხუბრად ჩამოვა, სხვა ამბავია...

ასე და, ამგვარად, მიდით, ფეხბურთელებო, ნაბიჯს ნაბიჯი მიაყოლეთ, რათა ერთი მშვენიერი დღის შემდეგ აქ ჩამოსულებმა რაც შეიძლება გრძელსახელოებიანი ტანსაცმელი ჩაიცვან, შემთხვევით თითები რომ არ გამოუჩნდეთ!

ბაჩუნა ძიძია



აი, ქვა და აი, თითი. ეს ყველაფერი იყო ჩვენს დანგრეულ სტადიონზე.

ეგებ ამ თითის გამო იყო ეს ქვა, ან ამ ქვის გამო ეს თითი, მაგრამ ორივე იყო და ვერაფერს იტყვი.

ჩვენს სტადიონებზე ხულიგნობა ხშირი ამბავია და ეს არ გაგვიკვირდებოდა, ბოთლების წვიმასაც ნაჩვევნი ვართ, მაგრამ ეროვნულზე ქვა პირველად გამოჩნდა და ეს არ არის დასავიწყებელი თარილი.

ქვის სროლით რომ ვერაფერს გააწყობ, ცნობილი ამბავია. ქვასროლიები, ჩვეულებრივ ვერ იგებენ ხოლმე, მაგრამ ვინც იგებს, იმან ღირსეულად უნდა მოიგოს. „ლიბერეცის" ფეხბურთელებმა თითი, თუ ერთი ადგილი აქვთ, „მილანს" ან ვინმე ეგეთს აჩვენონ. ჩვენ კი ქვები შევაგროვოთ, როგორც თქმულია, ქვების შეკრების ჟამი დადგაო და სხვას ნუ ვესვრით. ვერ გაგვიგებენ. ქვასროლიებს ველარავინ უგებს მსოფლიოში. ჩამოვიდნენ უზრდელი ჩეხი ფეხბურთელები, დახვდნენ ქვებით შეჭურვილი უზრდელი ქართველები. რა გამოვიდა?

თბილისის „დინამომ" ხომ თავი დადო მოედანზე. რა ქვა აგიტყდათ, იმ ჩეხებსაც რა ვუთხარი კიდევ...

ირაკლი გამყრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2002-2003

### პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

UEFA CUP

**ამიკა** (პოლონეთი) 1:2 **სერვეტი** (შვეიცარია) (3:2)
0:1 ფრეი (35), 1:1 ბურხარდტი (52), 1:2 ფრეი (88)
ამიკა: შამოტულსკი, სკრობეკი, გქაიორი, დოიკოვიჩი, ზუშჩეკი, დემბინსკი, მ. ჟიძია (სავალა 85), ბენიუკი, ბურხარდტი (სობოჩინსკი 62), ბაიორი, კროლი (კოვალჩიკი 90)
მწვრთნელი: მირონსლავ იაბლონსკი
1 500 მაყურებელი

**მეტალურგი** (ზაპოროჟიე, უკრაინა) 1:1 **ლიდსი** (ინგლისი) (0:1)
1:0 მოწრობაძე (24), 1:1 ბარმბი (77)
მეტალურგი: გლუშჩენკო, რატი, ვისევიჩი, აკოპიანი, მილოსავლიევიჩი, მოწრობაძე, ლაპკო, ფალუტა, ფაბიო, კლიუჩკო, დოდიჩი
მწვრთნელი: ოლეგ ლუცკოვი
გაფრთხილება: მოწრობაძე (65)
20 000 მაყურებელი

**ლივინგსტონი** (შოტლანდია) 4:3 **შტურმი** (ავსტრია) (2:4)
1:0 უილსონი (32პ), 1:1 საბიჩი (45), 1:2 მუჟირი (48), 1:3 საბიჩი (54), 2:3 ქაიუმა (56), 3:3 ენდრიუსი (77), 4:3 უილსონი (90)
შტურმი: ჰოფმანი, ნოიკირხნერი, მაელიბი, შტრაფნერი, ბრეჟნეკი, გოლემაცი, ფელი, მასუდი (მუილდტე 71), საბიჩი (კორსოში 64), დ. მუჟირი, დაგი
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
10 000 მაყურებელი

**გლაზგო რეინჯერსი** (შოტლანდია) 3:1 დ.დ. (2:0) **ჟიჟკოვი** (ჩეხეთი) (0:2)
1:0, 2:0 დე ბური (43, 59), 3:0 მაკკანი (97), 3:1 ლიჩკა (100)
რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, ჯ. მური, ლ. ამორუზო, ნუმანი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა, კონტერმანი (მუსკატი 67), რ. დე ბური (კანიჯა 99), შ. არველაძე, ლოვენკრანდსი (ნ. მაკკანი 91)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
42 700 მაყურებელი

**ანორთოსისი** (კვიპროსი) 3:1 **ირაკლისი** (საბერძნეთი) (2:4)
1:0 ქეცბაია (9), 1:1 ფოფონკა (31), 2:1 მაიაკი (67), 3:1 ქსიორუპასი (81)
ანორთოსისი: პანაიოტუ, ფუკარისი, კონსტისი, ჯელისი, მიხალსკი, კოვალჩიკი (კურბაროსი 46), ნეოფიტუ, მაიაკი, ქეცბაია (ტუპასი 80), ბრუმსვიკი, პიეკარსკი (ქსიორუპასი 71)
მწვრთნელი: ედუარდ ლორენსი
ირაკლისი: ჩალკიასი, კირიაზისი, ვრედე, კაცაბისი, მაისიელი, მურატი (დროუგასი 76), კეცურისი (კაპეტანოსი 84), პაგანი (ნასიოპულოსი 71), სტოლტიდისი, გონიასი, ფოფონკა
ლევან ძიგბაძე განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: ივან იოვანოვიჩი
5 000 მაყურებელი

**ბეტისი** (ესპანეთი) 2:1 **ზიმბრუ** (მოლდოვა) (2:0)
1:0 ტაისი (23), 2:0 კასასი (30), 2:1 ჩებოტარი (32პ)
ზიმბრუ: მულტყატუ, ოლექსიკი, ალექსა, დინუ, პუსკა, ლ. გვაზავა (ფრუნზა 73), ჩებოტარი (მიხულიაკი 85), ბიშელოვი, რუსნაკი (ბოიჩენკო 81), როშკა, ბასტინი
მწვრთნელი: გაბრიელ სტანი
17 000 მაყურებელი

დინამო (საქართველო) 0:1 **ლიბერეცი (ჩეხეთი)** (2:3)
**ჰერტა (გერმანია)** 1:0 აბერდინი (შოტლანდია) (0:0)
შახტარი (უკრაინა) 1:0 **აუსტრია (ავსტრია)** (1:5)
სარტიდი (იუგოსლავია) 0:1 **იფსვიჩ თაუნი (ინგლისი)** (1:1)
**შალკე (გერმანია)** 4:0 გომელი (ბელარუსი) (4:1)
პოლონია (პოლონეთი) 2:0 **პორტუ (პორტუგალია)** (0:6)
**ვერდერი (გერმანია)** 8:0 მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) (2:2)
ლორიანი (საფრანგეთი) 3:1 **დენიზლისპორი (თურქეთი)** (0:2)
შიროკი ბრიაგი (ბოსნია) 0:1 **სპარტა (ჩეხეთი)** (0:3)
ზალაეგერსეგი (უნგრეთი) 1:3 **დინამო (ხორვატია)** (0:6)
ქოჯაელისპორი (თურქეთი) 0:1 **ფერენცვაროში (უნგრეთი)** (0:4)
ვარტექსი (ხორვატია) 1:1 **მიდტიულანდი (დანია)** (0:1)
**ჰერენვენი (ჰოლანდია)** 2:0 **ნაციონალი (რუმინეთი)** (0:3)
უიპეშტი (უნგრეთი) 0:1 **პსჟ (საფრანგეთი)** (0:3)
სარაევო (ბოსნია) 0:5 **ბეშიქთაში (თურქეთი)** (2:2)
**პაოკ (საბერძნეთი)** 4:1 ლეიქსოეში (პორტუგალია) (1:2)
**ვისლა (პოლონეთი)** 6:1 პრიმორიე (სლოვენია) (2:0)
ზენიტი (რუსეთი) 2:1 **გრასჰოპერი (შვეიცარია)** (1:3)
ცსკა (ბულგარეთი) 3:3 **ბლეკბერნ როვერსი (ინგლისი)** (1:1)
**ფულემი (ინგლისი)** 2:2 ჰაიდუკი (ხორვატია) (1:0)
**ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)** 0:1 პერნტენი (ავსტრია) (4:0)
სტაბეკი (ნორვეგია) 1:2 **ანდერლეხტი (ბელგია)** (1:0)
**პარტიზანი (იუგოსლავია)** 3:3 დ.დ. (1:3) სპორტინგი (პორტუგალია) (3:1)
**სლავია (ჩეხეთი)** 5:1 მუსკრონი (ბელგია) (2:2)
სუდუვა (ლიტვა) 0:2 **სელტიკი (შოტლანდია)** (1:8)
ბრონდბიუ (დანია) 1:1 **ლევსკი (ბულგარეთი)** (1:4)
ქსანთი (საბერძნეთი) 0:0 **ლაციო (იტალია)** (0:4)
კიევო (იტალია) 0:2 **ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)** (0:0)
გრაცერი (ავსტრია) 1:1 **აპოელი (კვიპროსი)** (0:2)
**ალავესი (ესპანეთი)** 3:0 ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) (2:1)
ოდენსე (დანია) 1:0 **სელტა (ესპანეთი)** (0:2)
პუხოვი (სლოვაკეთი) 1:4 **ბორდო (საფრანგეთი)** (0:6)
**იურგორდენი (შვედეთი)** 3:1 კოპენჰაგენი (დანია) (0:0)
**ფენერბაჩე (თურქეთი)** 3:1 აიკ (შვედეთი) (3:3)
უტრეხტი (ჰოლანდია) 1:3 **ლეგია (პოლონეთი)** (1:4)
**პარმა (იტალია)** 3:2 ცსკა (რუსეთი) (1:1)
**ვიკინგი (ნორვეგია)** 4:2 ჩელსი (ინგლისი) (1:2)
**ბოავიშტა (პორტუგალია)** 4:1 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) (0:1)
რაპიდი (რუმინეთი) 0:1 **ვიტესი (ჰოლანდია)** (1:1)
ვენტსპილსი (ლატვია) 1:4 **შტუტგარტი (გერმანია)** (1:4)
**მალაგა (ესპანეთი)** 1:0 ჟელეზნიჩარი (ბოსნია) (0:0)
**პანათინაიკოსი (საბერძნეთი)** 2:1 დ.დ. (0:1) ლიტექსი (ბულგარეთი) (1:0)



REUTERS

რეინჯერსი — ჟიჟკოვი. შოთა არველაძეს (№24) ბურთისთვის ფეხის წარტყმა რომ მოეხერხებინა, შემდეგ ეტაპზე გლაზგოელები გავიდოდნენ

# მე მაპატიეთ!

**„ანართოსისში“** დაბრუნებული თემურ ქეცბაიას ფეხები ძველებურად ხნავენ. ბერძნულ „ირაკლისთან“ წაგებული პირველი მატჩის შემდეგ ნიქოზიაში კვიპროსულმა გუნდმა იყოჩაღა და საწადელს მიაღწია.

გამარჯვების დიმპიტაური თავპრიალა ქეცბაიამ შემოჰკრა, როცა ათიოდ წუთში სტუმართა კარის ბადე შეათამაშა. მალე ბერძენთა ფორვარდმა ფოფონკამ მასპინძელთა უპირატესობა გააქრო და მოქიშპენი შესვენებაზე გავიდნენ.

მეორე ტაიმში კუნძულელებმა საბოლოოდ მიასავათეს „ირაკლისი“. ჯერ სლავომირ მაიაკმა, მერე კი პანიკოს ქსიორუპასმა შეყარეს გოლები და თემურის დაწყებული საქმე ჩაარაკრაკეს.

ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ თვით ტერი ვენეიბლზი ესტუმრა თავისი „ლიდსით“. ინგლისელებს მეტალურგებთან შინაც ბევრი ოფლისღვრა დასჭირდათ გოლის გასატანად. ზაპოროჟიეში კიდევ უფრო შავ დღეში ჩაცვივდნენ, რადგან ირაკლი მოდებაძემ ტაიმის შუაწელში რობინსონს ბურთი კარიდან გამოატანინა. გასათანაბრებლად ლიდსელებს სრულად დასჭირდათ ნიჭის წარმოჩენა. ალან სმიტის დარტყმული გლუშჩენკომ მოიგერია, მაგრამ ნიკ ბარმბიმ დაამატა და „ლიდსი“ შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

ტერი ვენეიბლზი: „დრამატული მატჩი იყო. მოხარული ვარ, რომ თამაშის გადატანა დამატებით დროში არ დაგვჭირდა.“

ოლეგ ლუცკოვსი: „ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარ. ისინი ტოლ-სწორად ეთამაშნენ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს.“

„ლივინგსტონი“ „შტურმთან“ ბარი უილსონის ზუსტი თერთმეტმეტრიანით დაწინაურდა, თუმცა დავით მუჯირის პასით იმრე საბიჩმა პირველი ტაიმის მიწურულს გაქვითა. მეორე ნახევრის დასაწყისში მუჯირმა თვითონ გაიტანა, მერე კი ისევ საბიჩს გაატანინა.

ამის მერე მასპინძლებმა წაუშოტლანდიურეს — დევიდ ქსაუშამ, მარვინ ენდრიუსმა, ბოლოს ისევ ბარი უილსონმა გამოიჩინეს თავი. „ლივინგსტონმა“ მოიგო, მაგრამ შემდეგ წრეში მაინც ვერ გავიდა.

როგორც ჩანს, ჩეხურ „ჟიჟკოვის“ წერა იყო გლაზგოს „რეინჯერსი“. რონალდ დე ბურის წყვილმა გოლმა მხოლოდ ის შეძლო, რომ მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა. იქ ნილ მაკკანმა მესამეც მიაყოლა, თუმცა ლიჩკას ერთმა საპასუხომ მასპინძელთა მთელი ნაჯაფი წყალში ჩაყარა. დარჩენილ ოც წუთში ჩეხებმა გაძლეს და გაძვრნენ.

„ბარსელონას“ დამაქცევარ „ბეტისთან“ ლევან გვაზავას „ზიმბრუმ“ საპატიო ანგარიშით წააგო. ვაშინგტონ ტაისის და გასტონ კასასის სწრაფ გოლებს ბორის ჩებოტარის თერთმეტმეტრიანი მოჰყვა, რასაც მატჩის ბოლომდე ანგარიშის შეცვლა აღარ მოჰყოლია.

„უტრეხტს“ ვარშავის „ლეგია“ ეწვია. პოლონელმა კუხარსკიმ მეშვიდე წუთზევე შეაგდო. საქმის ამგვარად წასვლა ჰოლანდიელ ფანობას ჭკუაში არ დაუჯდა. მაყურებლები მოედანზე გადაცვივდნენ და ხორვატმა მსაჯმა ედო ტრივკოვიჩმა მატჩი შეწყვიტა. სანამ პოლიციამ მოხეტიალეებისგან მოედანი გაასუფთავა, ბარე ერთი ტაიმის სამყოფი დრო გავიდა. ყველანი თავიანთ ადგილებზე რომ დასვეს, შეხვედრა განახლდა. პირველი ნახევრის დასალიერზე სერგეი ომელიანჩიკმა ავტოგოლი მიითვალა და ანგარიში გათანაბრდა. ამან უტრეხტელი გულშემატკივრები ოდნავ დააცხრო, თუმცა სტანკო სვიტლიცამ რვაწუთიან მონაკვეში დუბლი შეასრულა და „ლეგიამ“ იმარჯვა.

იუგოსლავიაში, სმედერევოში, იქაურმა „სარტიდმა“ ინგლისის პირველდივიზიონელ „იფსვიჩს“ უმასპინძლა. ამ გუნდების იფსვიჩურ მატჩში ბრიტანელები წაგებას ძლივს გადაურჩნენ. ამჯერად, ნახეს რა, რომ „სარტიდი“ ხელწამოსატყაპუნებელი მეტოქე არაა, საქმეს სრული სერიოზულობით მიუდგნენ. სტუმრებმა გამარჯვების გოლი მალევე გააფორმეს. სლავოლუბ კისიჩმა საჯარიმოში წესი დაარღვია და მსაჯმა თერთმეტი მეტრი გადათვალა. მარკუს ბენტმა ნიშნულიდან საგოლედ დაჰკრა და „იფსვიჩი“ დაწინაურდა. შავკანიანი ფეხბურთელის სიხარული იუგოსლაველ ქომაგებს არ მოეწონათ და მისი კანის შეფერილობის გამო რასისტული ლოზუნგები მოიმარჯვეს, რასაც უეფელები უყურადღებოდ ალბათ არ დატოვებენ.

„ვიკინგის“ თავკაცი ბენი ლეონარდსენი სიტყვის კაცი ყოფილა. მატჩამდე დაიქადნა, სტავანგერში „ჩელსის“ იოლი გასეირნება არ ელისო. მორტენ ბირმა მეცხრე წუთზე გაახარა მასპინძლები. პეტერ კოპტეფის მეორე გოლმა სულ გადარია ვიკინგობა, ერიკ ნევლანდის წყვილმა გოლმა კი მეცხრე ცაზე აიყვანა სრულიად სტავანგერი. დამხვდურთა ოთხს ფრენკ ლამპარდმა და ჯონ ტერიმ ორით უპასუხეს, მაგრამ ლონდონელთა მონდომებამ ნორვეგიაში არ გაჭრა. გავიხსენოთ, რომ შარშანაც სწორედ „ჩელსის“ დამარცხებით დაიგდო სახელი „ჰაპოელმა“. ამჯერად „არისტოკრატებმა“ „ვიკინგის“ სახელზე „იზრუნეს“.

„უპირველეს ყოვლისა, გულშემატკივრებს პატიებას ვთხოვ — მოიბოდიშა დონეცკის „მეტალურგის“ თავკაცმა სემიონ ალტმანმა ნამატჩევს, რომელშიც მისმა გუნდმა ბრემენში „ვერდერთან“ ერთბაშად რვა უპასუხო გოლი გაუშვა — ჩვენ დღეს საზიზღრად გამოვიყურებოდით. დამნაშავენი ვართ ყველანი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მე. ასეთი ანგარიში მხოლოდ საშინელ სიზმარში შეიძლებოდა დამსიზმრებოდა, მაგრამ ეს რეალობაა. კიდევ ერთხელ ვუხდი ბოდიშს გუნდის ყველა ქომაგს.“

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS

პარტიზანი — სპორტინგი. ლისაბონელი კონტრერასის მესამე გოლმა სტუმრებს ჯამური მარცხი ორი დამატებითი ტაიმით გადაუვადა

## ინგლისი. ყველა დროის სტატისტიკა. 1888-2002



1933 წელი. ასოციაციის თასის ფინალში „ევერტონმა" „მანჩესტერ სიტი" დაამარცხა

# ვინ? ევერტონი, ასი წელი!

არავის გაკვირვებია, როცა ჩვენს მიერ ორი კვირის წინ შემოთავაზებულ სერია A-ს ყველა დროის ცხრილის სათავეში ტურინის „იუვენტუსი" იხილა. ასევე იყო გასულ შაბათსაც, როცა ვნახეთ, რომ ყველა დროის ბუნდესლიგური მონაგარით მიუნხენის „ბაიერნი" დიდად სჯობდა დანარჩენებს.

დღეს ინგლისის ლიგის ჯერია, ყველაზე მოულოდნელი შედეგებით დახუნძლული ლიგისა. და რას ვხედავთ ფეხბურთის სამშობლოს ელიტარული ლიგის ყველა დროის (1888-2002) ცხრილში? დიახ, მას „ევერტონი" ლიდერობს.

ვაღიარებთ, რომ თავიდან ეჭვი შეგვეპარა ამ მონაცემების სისწორეში, მაგრამ გადამოწმებისას ყველაფერი ისევ ამ ჯერით დავცდა. კაცმა რომ თქვას, ეს ერთი შეხედვითაა მოულოდნელი, თორემ თუ პირველ გრაფას, უმაღლეს ლიგაში (1992 წლამდე პირველი დივიზიონი ერქვა, მას მერე კი პრემიერლიგად ვიცნობთ) ჩატარებული სეზონების რაოდენობას დავხედავთ, ყველაფერს მივხვდებით — „ევერტონი" პირველი გუნდია, რომელიც წლეულს თავის მეასე(!) სეზონს ატარებს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. შედარებისთვის — „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" მიმდინარე გათამაშება ოდენ 78-ეა.

საერთოდაც, ლივერპულ-ქალაქს ქვემორე ცხრილში ვერავინ შეედრება — მიუხედავად 12-სეზონიანი ჩამორჩენისა, „ლივერპულს" მხოლოდ 47 ქულა (ახლა უკვე ნაკლები, ვინაიდან მიმდინარე სეზონის მონაცემები ცხრილში არ შეგვიტანია) აშორებს მეზობლის რეკორდულ მაჩვენებელს და თუ ამ ორი გუნდის ბოლოდროინდელ შედეგებს გავითვალისწინებთ, დიდი შანსია, 3-4 წელიწადში ინგლისის ჩემპიონატის „ოლ თაიმ" ცხრილს სათავეში სწორედ „ენფილდ როუდის" ბინადარი მოექცეს.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს უძველესი ჩემპიონატის 114-წლიან ისტორიაში უმაღლესლიგელობა მხოლოდ 61 გუნდს ღირსებია (შედარებისთვის, საქართველოს 13 ჩემპიონატში უკვე 36-მა გუნდმა მოასწრო თამაში).

ტრადიციულად, ჩვენ მხოლოდ პირველი ოცეულისა და წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეთა შედეგებს გაგაცნობთ. აქვე გეტყვით, რომ ქულათა დარიცხვის სისტემა ძველებური, ორქულიანია.

რაც შეეხება მხოლოდ პრემიერლიგას, მისი ათწლიანი ცხრილის კენწეროში, ცხადია, „ევერტონს" ვერ ვნახავთ. აქ „მანჩესტერ იუნაიტედი" ლიდერობს და კვალში ჩამდგარ „არსენალს" მთელი 130 ქულით უსწრებს.

**გიგა კობახიძე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ევერტონი | 99 | 3872 | 1579 | 950 | 1343 | 6149:5482 | 4108 |
| 2. ლივერპული | 87 | 3488 | 1596 | 869 | 1023 | 5737:4364 | 4061 |
| 3. არსენალი | 85 | 3488 | 1516 | 907 | 1065 | 5619:4524 | 3939 |
| 4. ასტონ ვილა | 91 | 3538 | 1481 | 808 | 1249 | 5982:5325 | 3770 |
| 5. მანჩესტერ იუნაიტედი | 77 | 3132 | 1406 | 797 | 929 | 5312:4236 | 3609 |
| 6. ნიუკასლი | 72 | 2894 | 1148 | 694 | 1052 | 4507:4193 | 2990 |
| 7. სანდერლენდი | 74 | 2884 | 1158 | 663 | 1063 | 4698:4418 | 2979 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 73 | 2974 | 1114 | 741 | 1119 | 4538:4529 | 2969 |
| 9. ტოტენჰემი | 67 | 2748 | 1100 | 671 | 977 | 4330:3975 | 2871 |
| 10. ჩელსი | 67 | 2752 | 988 | 737 | 1027 | 4008:4205 | 2713 |
| 11. ვესტ ბრომვიჩი | 68 | 2652 | 988 | 637 | 1027 | 4134:4224 | 2613 |
| 12. შეფილდ უენსდი | 66 | 2582 | 980 | 612 | 990 | 3976:4020 | 2572 |
| 13. დერბი ქაუნთი | 64 | 2430 | 905 | 577 | 948 | 3744:3821 | 2387 |
| 14. ბოლტონი | 63 | 2422 | 894 | 544 | 984 | 3705:3916 | 2332 |
| 15. ბლექბერნი | 62 | 2340 | 889 | 551 | 900 | 3842:3807 | 2329 |
| 16. ვულვერჰემპტონი | 59 | 2270 | 911 | 506 | 853 | 3874:3671 | 2328 |
| 17. შეფილდ იუნაიტედი | 59 | 2318 | 861 | 552 | 905 | 3499:3707 | 2274 |
| 18. ლიდსი | 48 | 1984 | 824 | 509 | 651 | 2981:2648 | 2157 |
| 19. ნოტინგემი | 56 | 2178 | 800 | 549 | 829 | 3069:3171 | 2149 |
| 20. ბარნლი | 51 | 1982 | 784 | 447 | 751 | 3163:3157 | 2015 |
| 21. მიდლსბრო | 53 | 2134 | 732 | 527 | 875 | 3091:3354 | 1991 |
| 22. ვესტ ჰემი | 47 | 1940 | 671 | 480 | 789 | 2847:3090 | 1822 |
| 23. ბირმინგემ სიტი | 50 | 2040 | 651 | 501 | 888 | 2776:3296 | 1803 |
| 29. საუთჰემპტონი | 32 | 1302 | 433 | 353 | 516 | 1736:1923 | 1219 |
| 34. ჩარლტონი | 21 | 860 | 294 | 207 | 359 | 1211:1371 | 795 |
| 41. ფულემი | 13 | 542 | 158 | 136 | 248 | 760:972 | 452 |

# წმინდა მარკოსის მარტვილობა

## ბრაზილია

15-ე ტური: კორინთიანსი — სანტოსი 2:4; ატლ. მინეირო — ფიგეირენსე 0:2; პარანა — კრუზეირო 1:1; გრემიო — პაისანდუ 3:0; გამა — ინტერნასიონალი 1:1; სან კაეტანო — კურიტიბა 1:0; პალმეირასი — სან პაულუ 1:1; ბოტაფოგო — პონტე პრეტა 2:1; ვიტორია — ფლუმინენსე 2:1; ჟუვენტუდე — გოიასი 2:1; ფლამენგო — ბაია 1:1

**ისევ** „პალმეირასით" ვიწყებთ, რომელიც კვლავ ბოლო ადგილზეა და რომელსაც გმირი ჰყავს: მსოფლიოს ჩემპიონი მეკარე მარკოსი, გუნდის ერთადერთი იმედი. „პალმეირასის" ტორსიდაში წმინდა მარკოზის სახელით ცნობილი მეკარე ამ გაზაფხულიდან ამოიღეს ნიშანში იმავ ტორსიდორეებმა და მისი ლანძღვა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის ცქერისას შეწყვიტეს.

ზაფხულის მიწურულს დაწყებული საერთობრაზილიური ჩემპიონატის 11 მატჩში მარკოსმა 25 გოლი გაუშვა და ბოლო ადგილზე მყოფი დიდი კლუბის მთავარ დამნაშავედ გამოცხადდა. „პონტე პრეტასთან" 0:2 წაგებული მატჩის შემდეგ მარკოსმა განაცხადა: „სულაც არ მინდა კარში იმიტომ ვიდგე, რომ მარკოსი ვარ" და მწვრთნელ ლევირ კულპის დასვენება სთხოვა.

მწვრთნელმა იუარა, თუმცა, მარკოსმა მცირე ტრავმა მიიღო და ერთი თამაში გამოტოვა. ამ ტრავმამ და გამოტოვებულმა თამაშმა კი გარდატეხა მოახდინა: იმის შემდეგ სამი ტური მიილია და „პალმეირასს" აღარ წაუგია. რატომღაც ყველამ დაინახა, რომ თამაშის ბედი სწორედ მარკოსზე კიდია. „სანტოსთან" ფრედ დამთავრებულ შეხვედრაში მარკოსმა 7 მკვდარი ბურთი აიღო, სანტოსელთა მწვრთნელ ემერსონ ლეაოს კი აღმოხდა: „ასეთი რამ არასდროს მინახავს!"

ამ კვირაში „პალმეირასი" „სან პაულუს" ხვდებოდა და კვლავ მარკოსის წყალობით მიაღწია ფრეს. შეხვედრის ბოლო წამებზე მეკარემ წარმოუდგენელი ბურთი მოუხსნა ლუიშ ფაბიანუს.

„ჩვენს კარში მსოფლიოს საუკეთესო მეკარე დგას — თქვა მატჩის შემდეგ „პალმეირასის" ბებერმა კაპიტანმა ზინიომ, ძველმა მსოფლიოს ჩემპიონმა — ეს აშკარაა."

ამასობაში კი კვლავ ვერაფერი გააწყო რომარიომ, რომლის „ფლუმინენსემაც" 1:2 წააგო „ვიტორიასთან". რომარიომ ბოლო 10 მატჩიდან მხოლოდ ერთში გაიტანა გოლი.

მოდაში შემოსულმა „ჟუვენტუდემ" კვლავ დაიბრუნა ჩემპიონატის ლიდერობა, რადგან 2:1 მოუგო შინ „გოიასს". გოიასელებს პირველი ტაიმის ოთხწუთიან მონაკვეთში გაუტანეს მცველმა ინდიომ და თავდამსხმელმა ლეონარდო მანციმ.

მეორე ადგილზე დამკვიდრდა შარშანდელი და შარშანწინდელი მეორეადგილოსანი „სან კაეტანო", რომელმაც „კურიტიბას" სძლია. მგონი, გამოცოცხლდა ჩავარდნილი „ბოტაფაგო", რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო ახალი მწვრთნელის, ივო პორტმანის ხელქვეით.

### საჩინტო როცენტალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟუვენტუდე | 15 | 9 | 2 | 4 | 18:10 | 29 |
| სან კაეტანო | 14 | 9 | 1 | 4 | 25:14 | 28 |
| კორინთიანსი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:23 | 27 |
| კურიტიბა | 14 | 8 | 2 | 4 | 22:14 | 26 |
| სანტოსი | 15 | 7 | 5 | 3 | 26:19 | 26 |
| ატლ. მინეირო | 15 | 7 | 3 | 5 | 25:20 | 24 |
| კრუზეირო | 15 | 6 | 5 | 4 | 21:20 | 23 |
| ატლ. პარანენსე | 14 | 6 | 4 | 4 | 23:16 | 22 |
| სან პაულუ | 15 | 6 | 4 | 5 | 25:20 | 22 |
| გრემიო | 15 | 6 | 5 | 4 | 24:20 | 22 |
| გუარანი | 13 | 6 | 4 | 3 | 16:12 | 22 |
| ვიტორია | 15 | 6 | 3 | 6 | 25:24 | 21 |
| ინტერნასიონალი | 15 | 5 | 6 | 4 | 23:21 | 21 |
| ფიგეირენსე | 14 | 6 | 2 | 6 | 19:22 | 20 |
| პონტე პრეტა | 14 | 6 | 2 | 6 | 18:15 | 20 |
| პორტუგეზა | 14 | 5 | 3 | 6 | 13:19 | 18 |
| ფლუმინენსე | 14 | 5 | 2 | 7 | 21:29 | 17 |
| ბოტაფოგო | 14 | 4 | 5 | 5 | 15:20 | 17 |
| ფლამენგო | 14 | 4 | 4 | 6 | 23:23 | 16 |
| გამა | 15 | 4 | 4 | 7 | 13:18 | 16 |
| ბაია | 15 | 4 | 3 | 8 | 16:22 | 15 |
| პარანა | 14 | 4 | 2 | 8 | 23:24 | 14 |
| ვასკუ და გამა | 14 | 4 | 2 | 8 | 18:21 | 14 |
| პაისანდუ | 13 | 4 | 1 | 8 | 19:28 | 13 |
| გოიასი | 14 | 3 | 4 | 7 | 21:27 | 13 |
| პალმეირასი | 15 | 2 | 6 | 7 | 16:28 | 12 |



მსოფლიოს ჩემპიონატის მერე, როგორც იქნა, მარკოსი ბრაზილიურ პირველობაშიც აღიარეს

ილია ბაბუნაშვილს
და რუსუდან ტარყაშვილს
ვულოცავთ
პატარა კესოს დაბადებას
**სარბიელელები**

# იტალია

გიორგი ქამარდაშვილი



„რეჯინა" თუ გაიტანს, ისევ შუნსუკე ნაკამურას პენალტით

# ინძაგით თუ შინძაგოდ ვაი, შენს ტორინოს

**V ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| რეჯინა | - | ბრეშა |
| რომა | - | უდინეზე |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | ლაციო |
| კიევო | - | მოდენა |
| ემპოლი | - | ბოლონია |
| იუვენტუსი | - | კომო |
| მილანი | - | ტორინო |
| პარმა | - | პერუჯა |
| პიაჩენცა | - | ინტერი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:2 | 9 |
| მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 7 |
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ბოლონია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ემპოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| პიაჩენცა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| მოდენა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| პარმა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| რომა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| კიევო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| ბრეშა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |
| პერუჯა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| რეჯინა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ატალანტა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| კომო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| ტორინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |

**ფილიპო ინძაგის** შეუჩერებელი, მუდმივმეგოლე ფეხები, მანუელ რუი კოშტასა და რივალდოს სწრაფი თვალი და პასი „ტორინოს" ზედიზედ მეოთხე თამაშის წაგების უსიამოვნო პერსპექტივას უმზადებს. ოღონდ ინძაგის ხსენებისას დაზუსტებაა საჭირო — ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირს მარცხენა ფეხი დაუშავდა, თუმც არც იმდენად, მისი მოედანზე გასვლა გამორიცხულად რომ მივიჩნიოთ. ისე კი, კარლო ანჩელოტი თუ არ გარისკავს, გასაკვირი არ იქნება.

ტურინულ კლუბს კი შარშანდელი, ასე თუ ისე რიგიანი თამაშის შემდეგ შავი დღეები უდგას. წინა სეზონში გუნდი მეთერთმეტე ადგილს შესწვდა. თანაქალაქელ, სერია A-ს ჩემპიონ „იუვენტუსს" ტურინულ დერბიში ორივეჯერ მაგრად ეჭიდავა. მაგრამ ახლა, დაკარგა რა კაპიტანი ანტონიო ასტა და ნახევარმცველი რიკარდო მასპერო და მათი გამოცვლილება, ამ სეზონში ერთი გოლიც ვერ შეუგდია. წლეულს „ტორინო" იტალიურ ელიტაში ახლადაბარგებულ „მოდენასაც" კი დაუწვა. „ბაიერნის" სტუმრად მძლეველმა „მილანმა" საფიქრებელია, მეტოქე „სან სიროდან" ხახამშრალი გაუშვას.

სატურნირო ცხრილში „ტორინოს"არცთუ შორეული მეზობელი „რეჯინა" მეცამეტეადგილოსან „ბრეშას" გაუცილებს. „რეჯინას" ჯერჯერობით ორი გოლი აქვს გატანილი და ორივე იაპონელ ნახევარმცველის, შუნსუკე ნაკამურას ზუსტი თერთმეტმეტრიანებით. მაჩანჩალების ომში „ბრეშას" წინა ტურებში ორგზის ყვითელბარათიანი ნახევარმცველი ანტონიო ფილიპინი გამოაკლდება.

ვერონაში კი შარშანდელი გუნდი-აღმოჩენა, „კიევო" წლევანდელ სეზონში ანალოგიურადვე მონათლულ „მოდენას" დამარცხებას შეეცდება. „კიევოს" ფსიქოლოგიურად ცუდი სასტარტო მდგომარეობა აქვს — წინა უქმეებზე „ინტერთან" იდეალურ თამაშის შემდეგ უეფას თასზე „ცრვენა ზვეზდასთანაც" შერცხვნენ.

„დელე ალპი" კი საკვირაოდ არ შეივსება. „იუვენტუსისა" და აუტსაიდერ „კომოს" დაპირისპირება ტურინელების უქმე დღის გეგმიდან სტადიონზე წასვლას, ალბათ, ამოაგდებს. „შავ-თეთრებს" ალესიო ტაკინარდი, მარკო დი ვაიო და იგორ ტუდორი არ ეყოლებათ, თუმც „კომოს" თავსატეხი მაინც არ აკლია — მეტოქემ ხომ გოლს მოწყურებული, ტრავმამოშუშებული დავიდ ტრეზეგე დაიბრუნა.

პო, „დელე ალპის" გახსენებაზე — ტურინის მუნიციპალიტეტმა, რომლის გამგებლობაშიც არის ეს სტადიონი, რეკონსტრუქცია და ტევადობის 69 ათასამდე შემცირება გადაწყვიტა.

„პერუჯას" გასვლა აქვს პარმაში და მწვრთნელი სერსე კოზმის იმედები მთლად უნიადაგო არ არის. „პარმა" წინა ტურში უწესო საქციელისთვის დასჯილ თავდამსხმელ ადრიანოს, ნახევარმცველ ლამუშის და მცველ ჟუნიორს მოისაკლისებს.

„ინტერს" იტალიური მედიის ჭორიკნობის ალკვეთა მოუწევს. ჩემპიონთა ლიგაში საშინაო მარცხის შემდეგ იქაური პრესა მილანელთა კრიზისზე ალაპარაკდა. „ლიონთან" უსახიზღრესი თამაშის მერე ჟურნალისტებს პირში წყალი რომ ჩაეგუბებინათ, გასაკვირი სწორედ ეგ იქნებოდა. „სან სიროს" მკვიდრთ თავდასხმაში დაშავებული კრისტიან ვიერი ვერ დაეხმარება. ექტორ რაულ კუპერი „პიაჩენცას", ალბათ, ერნან კრესპო-ალვარო რეკობას წყვილს დაუპირისპირებს.

ფაბიო კაპელომ შესაძლოა, ფორტუნაზურგშექცეულ გაბრიელ ბატისტუტას „გენკისთვის" გამარჯვების გოლის გამტანი ყმაწვილი ანტონიო კასანო წაახმაროს და „უდინეზესთან" მატჩის სასტარტო შემადგენლობაში ორი ფორვარდი ჰყავდეს. უდინელებისთვის წინასეზონური რომაული ფრე ერთგვარი სტიმულია, თუმცა მეგოლე რობერტო მუცის არყოფნა მათ ამოცანას ერთიორად ართულებს.

სერია A-ში წლეულს დაბრუნებული „ემპოლის" დაპირისპირება „ბოლონიასთან" საინტერესო და დაძაბული უნდა გამოდგეს. „ემპოლიმ" წინა ტურში, ბევრისთვის მოულოდნელად, „პერუჯა" სტუმრად დაამარცხა. ჯერჯერობით წაუგებელ „ბოლონიასაც" იგივეს უპირებს. „ბოლონიას" დაცვის ხაზში გამოცდილი ჯულიო ფალკონე ორი გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებს, მას კრისტიან ძაკარდო შეცვლის.

# ინგლისი

[illegible] ქორიძე

# ენფილდი ოცნებობს ლივერპულის ვიკინგობაზე, ჩელსის სპარტაკობაზე

**IX ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ვესტ ჰემი | — | ბირმინგემი |
| მიდლსბრო | — | ბოლტონი |
| ნიუკასლი | — | ვესტ ბრომვიჩი |
| საუთჰემპტონი | — | მანჩესტერ სიტი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | — | სანდერლენდი |
| ფულემი | — | ჩარლტონი |
| ბლექბერნი | — | ტოტენჰემი |
| ასტონ ვილა | — | ლიდსი |
| ლივერპული | — | ჩელსი |

**ზეგ**

| | | |
|---|---|---|
| მანჩესტერი | — | ევერტონი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:8 | 20 |
| ლივერპული | 8 | 5 | 3 | 0 | 18:8 | 18 |
| მიდლსბრო | 8 | 4 | 2 | 2 | 11:5 | 14 |
| მანჩესტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 14 |
| ჩელსი | 8 | 3 | 4 | 1 | 15:11 | 13 |
| ტოტენჰემი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:12 | 13 |
| ლიდსი | 8 | 4 | 0 | 4 | 11:9 | 12 |
| ბლექბერნი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| ფულემი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 11 |
| ევერტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 11 |
| ნიუკასლი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | 10 |
| ასტონ ვილა | 8 | 3 | 0 | 5 | 6:9 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:13 | 9 |
| ბირმინგემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| სიტი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| სანდერლენდი | 8 | 2 | 2 | 4 | 3:10 | 8 |
| ბოლტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | 7 |
| საუთჰემპტონი | 8 | 1 | 4 | 3 | 4:8 | 7 |
| ჩარლტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:13 | 7 |
| ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | 5 |

**პრემიერლიგის** მორიგი, მეხუთე ტური დღევანდელი ოთხი მატჩით იწყება და ორშაბათის შეხვედრით სრულდება. ლიდერებში გარეული „ბოროს" მენეჯერმა სტივ მაკლარენმა ლიგის თასზე მეორე შემადგენლობით ითამაშა და „ბოლტონს" დასვენებულ ფეხბურთელებს შეაგებებს. ცხადია, ფავორიტი „მიდლსბროა". იქაურებს განსაკუთრებით იტალიელი მასიმო მაკარონეს იმედი აქვთ. მართალია, ბოროელთა მეორე თავდამსხმელი, ნემეცი ტრავმირებულია, მაგრამ ეს მაჩანჩალა „ბოლტონისთვის" დიდი ვერაფერი ნუგეში უნდა იყოს. მით უფრო, რომ ბოლტონელებს ტრავმირებული კევინ ნოლანი დააკლდებათ.

ლიგაში ნაგვემი „ნიუკასლი" „ვესტ ბრომვიჩს" მასპინძლობს და მისთვის სამი ქულის ართმევა კვლავაც ტრავმირებული კრეიგ ბელამის გარეშე მოუწევს. „ვესტ ბრომვიჩს" თავდამსხმელი ლი ჰიუზი დაუბრუნდა. საეჭვოა დერეკ მაკნის თამაში.

ლიგის თასზე გატანილი გოლებით ხასიათმოკეთებულ „საუთჰემპტონს", „მანჩესტერ სიტისთან" საშინაო მატჩში, მარიან პახარსი, პოლ ტელფერი და ტახარ ელ ქალეჯი დაუბრუნდებიან. კვლავაც ვერ გამოკეთებულა ეკვადორელი აგუსტინ დელგადო.

„სიტის" კი, რომელსაც აგვისტოს შემდეგ არ მოუგია, შეიძლება კვლავაც ონი ტიატოს გარეშე მოუწიოს თამაში. სამაგიეროდ, ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა ალი ბერნარბიამ. კოჭი მოირჩინა მცველმა სილვენ დისტინმა.

ბოლო ადგილზე დამკვიდრებულ „ვესტ ჰემს" „ბირმინგემთან" გამკლავება ფრედერიკ კანოს გარეშე მოუწევს. „ჩაქუჩებს" სასჯელმოხდილი იან პირსი და ტრავმამოშუშებული დონ ჰატჩისონი დაუბრუნდნენ. თავის მხრივ, ბირმინგემელებს დაცვაში ექნებათ პრობლემები. მაიკლ ჯონსონისა და მარტინ გრაინჯერის ტრავმები „ვესტ ჰემს" გამარჯვების შანსს უზრდის. ბირმინგემელები კი იმით ხარობენ, რომ ლიგის თასზე „ლეიტონ ორიენტთან" ჰეთ თრიქის ავტორი ჯონ სტერნი დაუბრუნდათ.

ტურის ცენტრალური მატჩი ხვალ ლივერპულში ჩატარდება. „სპარტაკის" გვემით გალაღებული „ლივერპული" ნორვეგიული ალიყურის შემდეგ ყურებჩამოყრილ „ჩელსის" მასპინძლობს. ლივერპულელებს ვლადიმირ შმიცერი და მარკუს ბაბელი აკლიათ ტრავმების გამო, თუმცა ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ოუენ-ჰესკის წყვილი „ენფილდს" მათ არყოფნას არ აგრძნობინებს. გაცილებით სერიოზული გასაჭირი აქვთ ლონდონელებს. მართალია, გუნდს ემანუელ პეტი და გრემ ლე სო დაუბრუნდნენ, მაგრამ კვლავაც არ იქნება მარსელ დესაი. მისი არყოფნა რომ „ჩელსისთვის" დიდი პრობლემაა, ეს „ვიკინგთანაც" კარგად გამოჩნდა.

ორი მატჩით ვერ დაეხმარება „ფულემს" ცენტრალური მცველი ალან გომა — ასეთია ექიმების დასკვნა. ტრავმების გამო მოედანზე „ფულემის" ფრანგული ლეგიონის სხვა წევრებიც ვერ გავლენ. ლუის საჰა მყესებს უჩივის, მარტინ ჯეტუ და სტივ ფინანი მუხლს. ჩარლტონელებს კი დაშავებული სკოტ პარკერი და გარი როუეტი არ ეყოლებათ.

ოსერში მცირე ტრავმა მიიღო ტიერი ანრიმ. არსენ ვენგერმა „სანდერლენდთან" საშინაო მატჩზე შესაძლოა, თანამემამულის გაყვანა არც გარისკოს. ასევე საეჭვოა დენის ბერხკამპის თამაში. მიუხედავად ამ დანაკარგებისა, „მეთოფენი" ცხადია, მოგებას გეგმავენ.

ლიგის თასზე „კემბრიჯთან" 7:0 მომგები „სანდერლენდი" ლონდონს კარგ გუნებაზე სტუმრობს, თუმცა „ჰაიბერიზე" კევინ ფილიპსისა და მუცლის კუნთდაზიანებული ჯეისონ მაკატირის გარეშე მოუწევს გასვლა.

ჩინებულ ფორმაშია ვილელი დიონ დაბლინი, მაგრამ ბირმინგემელებს „ლიდსთან" საშინაო მატჩში ხუან პაბლო ანხელი დააკლდებათ ტრავმის გამო. ტერი ვენეიბლზის გუნდს მუხლმტკივანი ლუკას რადებე გამოაკლდა. საეჭვოა ჯონათან ვუდგეიტის თამაშიც. „ლიდსს" გაცილებით უკეთ აქვს საქმე წინა ხაზში. ბირმინგემში მარკ ვიდუკა, ჰარი კიუელი და ალან სმიტი შეუტევენ.

„ბლექბერნის" შემადგენლობაში საეჭვოა დუაიტ იორკისა და გარი ფლიტკროფტის თამაში. ტრავმა მოიშუშა დამიენ დაფმა. გლენ ჰოდლს კი ნამდვილი ლაზარეთი აქვს. მის „ტოტენჰემს" ერთბაშად 10 კაცი აკლია.

სერ ალექს ფერგიუსონის თქმით, ორშაბათს, ტურის ბოლო მატჩში, რუუდ ვან ნისტელროი ითამაშებს. ჰოლანდიელმა „ოლიმპიაკოსთან" მყესები დაიზიანა და მისი „ევერტონთან" გამოჩენაც საეჭვო იყო. სათუოა მუხლმტკივანი მიკაე ლ სილვესტრის თამაშიც. ტრავმირებულთა სიაში კვლავაც არიან მანჩესტერელთა კაპიტანი როი კინი და უესლი ბრაუნი.

ლივერპულელებს კი „ოლდ ტრეფორდზე" თითქმის სასურველი შემადგენლობა გაჰყავთ. თითქმის იმიტომ, რომ „ევერტონს" ტრავმირებული მცველი სტივ უოტსონი არ ეყოლება.



კლაუდიო რანიერისთვის მარსელ დესაი დიდი ძალა ყოფილა

# გერმანია

დავით თავართქილაძე

# არ ენდოთ ლაუტერნს!

| VIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰერტა | — | ნიურნბერგი |
| ვოლფსბურგი | — | ლევერკუზენი |
| ბაიერნი | — | ბოხუმი |
| ჰანოვერი | — | დორტმუნდი |
| გლადბახი | — | არმინია |
| შალკე | — | ჰამბურგი |
| ლაუტერნი | — | კოტბუსი |
| **ხვალ** | | |
| ვერდერი | — | ჰანზა |
| შტუტგარტი | — | მიუნხენ 1860 |

### სადღეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 7 | 5 | 1 | 1 | 18:7 | 16 |
| ვერდერი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:11 | 15 |
| დორტმუნდი | 7 | 3 | 4 | 0 | 9:5 | 13 |
| ჰანზა | 7 | 4 | 0 | 3 | 11:6 | 12 |
| შალკე | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 12 |
| ბოხუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 15:10 | 11 |
| მიუნხენი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| ვოლფსბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 6:7 | 10 |
| არმინია | 7 | 3 | 1 | 3 | 9:12 | 10 |
| ჰერტა | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 9 |
| ჰამბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | 9 |
| ნიურნბერგი | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | 9 |
| გლადბახი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:6 | 8 |
| ლევერკუზენი | 7 | 2 | 2 | 3 | 12:14 | 8 |
| შტუტგარტი | 7 | 1 | 4 | 2 | 10:10 | 7 |
| ჰანოვერი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:15 | 7 |
| კოტბუსი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:16 | 4 |
| ლაუტერნი | 7 | 0 | 3 | 4 | 3:11 | 3 |

**სხვა დროს** და სხვა ვითარებაში „ბაიერნი" — „ბოხუმის" პაექრობას ტურის ცენტრალურ მატჩად არ შერაცხავდნენ, მაგრამ ახლა ასეა — მთავარი ყურადღება კვლავ „ოლიმპიაშტადიონისკენაა" მიმართული — ახტუნგ, ახტუნგ! დღეს ჩემპიონთა ლიგაში გალახული „ბაიერნი" თამაშობს.

„უნდა ვაჩვენოთ, თუ რა რეაქცია გვაქვს ბოლო დროს ჩვენ თავს გადახდენილ ამბებზე და უბრალოდ სამი ქულა მოვიპოვოთ" — ასეთია ჰიცფელდის წინასამატჩო სიტყვა.

ბავარიელებს გრძელვადიანი ტრავმირებული სამეულის გარდა — მეჰმეთ შოლი, სებასტიან დაისლერი და როკე სანტა კრუზი — ბიქსენტ ლიზარაზუ არ ჰყავთ ბოლომდე გამოჯანმრთელებული.

გუშინწინ არ უვარჯიშია მიხაელ ბალაკს — ის გაციებული გახლდათ, თუმცა დღეს ალბათ მაინც ითამაშებს.

თავისი „ბოხუმმაც" უნდა დაამტკიცოს — მძლავრი სტარტის შემდეგ ხომ ბუნდესლიგაში ახლადალზევებული გუნდი მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა.

მძიმე ბრძოლა ელის „ბაიერნის" მდევარ „ბრემენელ მუსიკოსებს". თომას შააფის ბიჭები ბდღვნიან ყველაფერს — უეფას თასზე ხუთშაბათს გოჩა ჯამარაულის დონეცკური „მეტალურგი" 8:0 გვემეს — და ახლა წესით და რიგით, აღმოსავლეთგერმანელებს უნდა მისდგნენ. მაგრამ „ჰანზა" ბუნდესლიგური გუნდია, თანაც ზედმიწევნით მებრძოლი.

„ვერდერს" ვინძლო ფრანკ ბაუმანი დაუბრუნდეს — გერმანიის ეროვნული გუნდის ეს მცველი პატარა ძალა როდია ბრემენელთათვის, ხოლო „ჰანზა" ერთ ტრავმირებულს მოისაკლისებს — იტალიელი შემტევი ანტონიო დი სალვოს სახით.

თუ სტატისტიკურად მივუდგებით საქმეს, „ჰანზა" უნდა ჩაფლავდეს — ამ გუნდთა ბოლო სამ ბრემენულ მატჩში როსტოკელები დამარცხდნენ.

დორტმუნდული „ბორუსია" მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონ „ჰანოვერს" ესტუმრება. მასპინძლებს ყველაზე ფასეული ფეხბურთელი არ ეყოლებათ — „ბოლტონიდან" სამშობლოში დაბრუნებულმა ფრედი ბობიჩმა თეძოს კუნთი გაიწყვიტა. არადა, ოდესღაც ბუნდესნაკრების ამ ფორვარდს მიმდინარე ბუნდესლიგაში ოთხჯერ გაუტანია.

ბრემენელთა დარად უეფას თასზე წარმატებით ითამაშა „შალკემ" — გელზენკირხენელმა „ჯამბაზებმაც" ყოფილი საბჭოეთის გუნდი, ბელარუსის „გომელი" აატირეს — 4:0. იმ შეხვედრაში ორი გოლით გამოირჩა თინეიჯერი ფორვარდი მაიკ ჰენკე, მაგრამ ის დღეს ალბათ სასტარტოში ვერ მოხვდება. „შალკეს" მეტოქე „ჰამბურგმა" ვინძლო ბოსნიელი შუახაზელი სერგი ბარბარესი მოისაკლისოს.

დღეს „კაიზერსლაუტერნმა" აუცილებლად უნდა მოიგოსო — ბევრი ასე ჭრის და კერავს, მაგრამ განა „ლაუტერნის" რამე ინდობა? არადა, ერიკ გერეტსის გუნდს ამ ბუნდესლიგაში ჯერაც არ მოუგია. „კაიზერსლაუტერნი" ფინანსურადაც დავიდარაბაშია და მიროსლავ კლოზეს სატრანსფერო უფლებას ჰყიდის, მაგრამ დროა, გაისროლოს. წინა სეზონში კი ანდრეას ბრემეს „ლაუტერნმა" შინ 4:0 მოუგო „კოტბუსს".

„შტუტგარტ" — „მიუნხენ 1860"-ზე იმას გეტყვით, რომ მასპინძლებს ერთბაშად სამი წამყვანი მოთამაშე არ ეყოლებათ — მეკარე ტომი ჰილდებრანდი, ნახევარმცველი იენს ტოდტი და ფორვარდი შონ დანდი შეუძლოდ არიან. მიუნხენელებს წინა ბუნდესლიგის მთავარმეგოლე მარტინ მაქსი ჰყავთ საექიმო, ხოლო პოლ აგოსტინო და დავორ შუკერი სრულ მზადყოფნაში არ არიან და სასტარტოში, ალბათ, ვერ მოხვდებიან.

საინტერესოდ მოსჩანს „ვოლფსბურგ" — „ლევერკუზენის" წყვილი. კლაუს ტოპმიოლერის გუნდი აზრზე მოვიდა — ბოლო ორ შეხვედრაში ჯერ „ბაიერნს" მოუგო, მერე ებრაულ „მაკაბის" ჩემპიონთა ლიგაში. „მგლებს" შუახაზელი პატრიკ ვეიზერი და შემტევი როი პრეგერი არ ეყოლებათ.

„ნიურნბერგს" 1992 წლის მერე არ მოუგია ბერლინში. სტუმრები სამ ტრავმირებულს მოისაკლისებენ — მცველ ფრანკ ვიბლიშაუზერს, შუახაზელ იაცეკ კრჟინოვეკს და კაი მიხალკეს. მათი გვარსახელები ბევრს ალბათ არაფერს გეუბნებათ, მაგრამ ნიურნბერგელთა საყვარელი მოთამაშეები არიან. „ჰერტას" დანაკარგიც სამი კაცია — შტეფან ბაინლიხი, ანდრეას ნოიენდორფი და ალექს ალვეში.



ფრედი ბობიჩი

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# შორია რონალდომდე

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უელვა | — | ბილბაო |
| **ხვალ** | | |
| ვალენსია | — | სელტა |
| მალაგა | — | ატლეტიკო |
| მალიორკა | — | ესპანიოლი |
| სევილია | — | ბეტისი |
| ბარსელონა | — | ოსასუნა |
| სოსიედადი | — | ვალიადოლიდი |
| რეალი | — | ალავესი |
| დეპორტივო | — | რასინგი |
| რაიო ვალეკანო | — | ვილიარეალი |

### სადღეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| სელტა | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| სოსიედადი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:8 | 10 |
| დეპორტივო | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| მალაგა | 4 | 2 | 2 | 0 | 9:7 | 8 |
| ბეტისი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:5 | 7 |
| რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ბარსელონა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ვალიადოლიდი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| ატლეტიკო | 4 | 1 | 3 | 0 | 8:4 | 6 |
| ალავესი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| რაიო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| რასინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| სევილია | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| 18.00 | 2143 | პიაჩენცა-ინტერი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 23.30 | 2144 | ატალანტა-ლაციო | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 21.00 | 2145 | ბარსელონა-ოსასუნა | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 21.00 | 2146 | დეპორტივო-რასინგი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 21.00 | 2147 | მალიორკა-ესპანიოლი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 21.00 | 2148 | რაიო-ვილიარეალი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2149 | სოსიედადი-ვალიად. | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 21.00 | 2150 | ვალენსია-სელტა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 21.00 | 2151 | მალაგა-ატლეტიკო | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 21.00 | 2152 | რეალი-ალავესი | 1,6 | 20,0 | 40,0 | 3,2 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.30 | 2153 | სევილია-ბეტისი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | | | | |
| 24.00 | 2154 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,4 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 6,0 | 18,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 5 ოქტომბერი | | |
| 18.30 | 2217 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2218 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2219 | ბაიერნი-ბოხუმი | 2,2 | 1,5 |
| 18.30 | 2220 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2221 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2222 | შალკე-ჰამბურგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2223 | კაიზერსლაუტერნი-კოტბუსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2224 | ვესტ ჰემი-ბირმინგემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2225 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2226 | ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2227 | საუთჰემპტონი-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2228 | რეჯინა-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2229 | რომა-უდინეზე | 1,95 | 1,65 |
| 00.30 | 2230 | უელვა-ბილბაო | 1,9 | 1,7 |
| | | 6 ოქტომბერი | | |
| 20.30 | 2231 | ვერდერი-ჰანზა | 2,0 | 1,6 |
| 20.30 | 2232 | შტუტგარტი-მიუნხენი | 1,95 | 1,65 |
| 17.00 | 2233 | ფულემი-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2234 | არსენალი-სანდერლენდი | 2,0 | 1,6 |
| 19.00 | 2235 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2236 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,8 | 1,8 |
| 20.05 | 2237 | ლივერპული-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2238 | კიევო-მოდენა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2239 | ემპოლი-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2240 | იუვენტუსი-კომო | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2241 | მილანი-ტორინო | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 2242 | პარმა-პერუჯა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2243 | პიაჩენცა-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2244 | ატალანტა-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2245 | ბარსელონა-ოსასუნა | 2,0 | 1,6 |
| 21.00 | 2246 | დეპორტივო-რასინგი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2247 | მალიორკა-ესპანიოლი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2248 | რაიო-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2249 | სოსიედადი-ვალიადოლიდი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2250 | ვალენსია-სელტა | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2251 | მალაგა-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2252 | რეალი-ალავესი | 2,1 | 1,55 |
| 23.30 | 2253 | სევილია-ბეტისი | 1,9 | 1,7 |
| | | 7 ოქტომბერი | | |
| 24.00 | 2254 | მანჩესტერი-ევერტონი | 2,1 | 1,55 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 5 ოქტომბერი | | |
| 18.30 | 2317 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2318 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2319 | ბაიერნი-ბოხუმი | 1,8 | 1,8 |
| 18.30 | 2320 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2321 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2322 | შალკე-ჰამბურგი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2323 | კაიზერსლაუტერნი-კოტბუსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2324 | ვესტ ჰემი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2325 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2326 | ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2327 | საუთჰემპტონი-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2328 | რეჯინა-ბრეშა | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2329 | რომა-უდინეზე | 1,85 | 1,75 |
| 00.30 | 2330 | უელვა-ბილბაო | 1,7 | 1,9 |
| | | 6 ოქტომბერი | | |
| 20.30 | 2331 | ვერდერი-ჰანზა | 1,6 | 2,0 |
| 20.30 | 2332 | შტუტგარტი-მიუნხენი | 1,6 | 2,0 |
| 17.00 | 2333 | ფულემი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2334 | არსენალი-სანდერლენდი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2335 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2336 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 20.05 | 2337 | ლივერპული-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2338 | კიევო-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2339 | ემპოლი-ბოლონია | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2340 | იუვენტუსი-კომო | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2341 | მილანი-ტორინო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2342 | პარმა-პერუჯა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2343 | პიაჩენცა-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2344 | ატალანტა-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2345 | ბარსელონა-ოსასუნა | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2346 | დეპორტივო-რასინგი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2347 | მალიორკა-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2348 | რაიო-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2349 | სოსიედადი-ვალიადოლიდი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2350 | ვალენსია-სელტა | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2351 | მალაგა-ატლეტიკო | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2352 | რეალი-ალავესი | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2353 | სევილია-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| | | 7 ოქტომბერი | | |
| 24.00 | 2354 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,85 | 1,75 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 5 ოქტომბერი | | |
| 18.30 | 2417 | ჰერტა-ნიურნბერგი | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2418 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 2419 | ბაიერნი-ბოხუმი | 1,2 | 4,0 |
| 18.30 | 2420 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 2,2 | 1,7 |
| 18.30 | 2421 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1,6 | 2,4 |
| 18.30 | 2422 | შალკე-ჰამბურგი | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2423 | კაიზერსლაუტერნი-კოტბუსი | 1,4 | 3,0 |
| 19.00 | 2424 | ვესტ ჰემი-ბირმინგემი | 1,6 | 2,4 |
| 19.00 | 2425 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1,4 | 3,0 |
| 19.00 | 2426 | ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი | 1,35 | 3,2 |
| 19.00 | 2427 | საუთჰემპტონი-სიტი | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 2428 | რეჯინა-ბრეშა | 1,7 | 2,2 |
| 23.30 | 2429 | რომა-უდინეზე | 1,25 | 3,6 |
| 00.30 | 2430 | უელვა-ბილბაო | 1,9 | 1,9 |
| | | 6 ოქტომბერი | | |
| 20.30 | 2431 | ვერდერი-ჰანზა | 1,45 | 2,8 |
| 20.30 | 2432 | შტუტგარტი-მიუნხენი | 1,7 | 2,2 |
| 17.00 | 2433 | ფულემი-ჩარლტონი | 1,45 | 2,8 |
| 18.00 | 2434 | არსენალი-სანდერლენდი | 1,15 | 4,4 |
| 19.00 | 2435 | ბლეკბერნი-ტოტენჰემი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 2436 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,9 | 1,9 |
| 20.05 | 2437 | ლივერპული-ჩელსი | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 2438 | კიევო-მოდენა | 1,45 | 2,8 |
| 18.00 | 2439 | ემპოლი-ბოლონია | 1,8 | 2,0 |
| 18.00 | 2440 | იუვენტუსი-კომო | 1,15 | 4,4 |
| 18.00 | 2441 | მილანი-ტორინო | 1,2 | 4,0 |
| 18.00 | 2442 | პარმა-პერუჯა | 1,45 | 2,8 |
| 18.00 | 2443 | პიაჩენცა-ინტერი | 2,2 | 1,7 |
| 23.30 | 2444 | ატალანტა-ლაციო | 1,9 | 1,9 |
| 21.00 | 2445 | ბარსელონა-ოსასუნა | 1,2 | 4,0 |
| 21.00 | 2446 | დეპორტივო-რასინგი | 1,25 | 3,6 |
| 21.00 | 2447 | მალიორკა-ესპანიოლი | 1,7 | 2,2 |
| 21.00 | 2448 | რაიო-ვილიარეალი | 1,7 | 2,2 |
| 21.00 | 2449 | სოსიედადი-ვალიადოლიდი | 1,5 | 2,6 |
| 21.00 | 2450 | ვალენსია-სელტა | 1,5 | 2,6 |
| 21.00 | 2451 | მალაგა-ატლეტიკო | 1,65 | 2,3 |
| 21.00 | 2452 | რეალი-ალავესი | 1,2 | 4,0 |
| 23.30 | 2453 | სევილია-ბეტისი | 2,1 | 1,75 |
| | | 7 ოქტომბერი | | |
| 24.00 | 2454 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,15 | 4,4 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.10 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (VIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 05.10 19.00 | 2602 | ინგლისი პლ. (IX ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 05.10 21.00 | 2603 | იტალია "A" (V ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 05.10 23.30 | 2604 | ესპანეთი Iლ. (V ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 05.10 23.00 | 2605 | საფრანგეთი Iლ. (X ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 04.10 23.30 | 2606 | ბელგია Iლ. (VIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 05.10 16.00 | 2607 | თურქეთი. (VIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |



ლევან აბესაძე იმედიანადაა

# იმედი სახელად გლდანი

საქართველოს სამი სახელბურთო კლუბი დღეს და ხვალ ევროთასების მატჩებს გამართავს. ქვეყნის 12-გზის ჩემპიონი „სტუ-შევარდენი" ჩემპიონთა ლიგის პირველივე რაუნდში სლოვაკეთის „პოვაჟსკა ბისტრიცასთან" მარცხის შემდეგ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე არანაკლები სიძლიერის (მეტის თუ არა) უნგრეთის ვიცე-ჩემპიონ „დუნაფერს" დაუპირისპირდება, „ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში „საუ-მამულს" მეტოქედ ლუქსემბურგის „ჰანდბალ-დიკირჩი" ჰყავს, „ცერო-ბათუმს" კი შვეიცარიული „სურ-ჰანდბალი".

მერამდენედ გვიხდება იმის თქმა, რომ უფულობის მიზეზით პრაქტიკულად ყველა ჩვენი გუნდი ორივე შეხვედრას მოწინააღმდეგის მოედანზე ატარებს, ესე იგი, წინასწარვე განწირულები არიან. იმასაც ვიტყვით, რომ შევარდნელები ბუდაპეშტს თვითმფრინავით ეწვევნენ, ხოლო „ლუქსემბურგელ-შვეიცარიელებმა" ავტობუსით, ნახევარი ევროპის გავლით ჩააღწიეს დანიშნულების ადგილზე. ოთხდღიანი ჯაყჯაყის შემდეგ მოთამაშეები როგორ ფორმაში იქნებიან, ძნელი მისახვედრი არაა.

სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი „გლდანი", რომელმაც ფინანსურ-ტექნიკური პრობლემების მოგვარება შეძლო და ლუქსემბურგის „ბაშარაჟს" ორჯერვე (12,13 ოქტომბერს) თავად უმასპინძლებს. სარბიელად თელავის სპორტთამაშების სპორტსკოლის დარბაზია შერჩეული. აღსანიშნავია, რომ თელავში ასეთი რანგის გუნდური ასპარეზობა არასოდეს გამართულა, ამიტომაც ადგილობრივი ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა თამაშები მაღალ ორგანიზაციულ-სპორტულ დონეზე ჩატარდეს. გუნდს ყურადღებას არ აკლებს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეშმარიაშვილი. რა თქმა უნდა, აღსანიშნავია აგრეთვე თბილისის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის სოლიდური ფინანსური დახმარება. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება, რომ გლდანელებმა სასურველ შედეგს მიაღწიონ, ანუ ორი მატჩის ჯამში სძლიონ ლუქსემბურგელებს.

გუნდი ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ვარჯიშობს, სამშაბათიდან კი თელავში განაგრძობს მზადებას. „გლდანის" მთავარმა მწვრთნელმა ლევან აბესაძემ ჩვენთან საუბარში გულისტკივილით აღნიშნა, რომ ტიტე კალანდაძემ, რომელსაც „ბაშარაჟის" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, თურქეთის ჩემპიონ „ასკი-ანკარასთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამდენად გუნდს ვერ დაეხმარება. დანარჩენები მონდომებით ვარჯიშობენ და წარმატების იმედიც აქვთ. თბილისელების გარდა „გლდანში" თელაველი, ქუთაისელი და ფოთელი ხელბურთელებიც არიან.

ლუქსემბურგელთა 18-კაციანი დელეგაცია თბილისში 11 ოქტომბერს ჩამოფრინდება და წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში დაბინავდება. მატჩებს ბელარუსი მსაჯები — ნაზარუკი და გრიცევიჩი გაუძღვებიან, ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატი კი თურქი იავუზ ტაშკირანია. თამაშები 15 საათზე დაიწყება.

**გია ახალაძე**



# ახალ ჩემპიონატში ახალი ბევრია. იქნებ ჩემპიონიც?!

საქართველოს 12 ჩემპიონატი

**საქართველოს დღეიდან** ვერის ბაღში კალათბურთი გახურდება. ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა მეთორმეტე ეროვნულ ჩემპიონატს ახლებურად იწყებს, თუმც ახალი ფორმატის მოწოდებამდე მონაწილეებზე ვთქვათ.

„დინამო" ყველაზე არხეინად ხვდება სეზონს. დინამოელებმა ჩვენი ჩემპიონატის თითქმის ყველა წამყვანი კალათბურთელი დაისაკუთრეს და დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირზე კლანჭებიც გამოაჩინეს. ლევან მოსეშვილის გუნდი შიდა ჩემპიონატში ბურთაობას არ სჯერდება და ევროპისკენაც უჭირავს თვალი, ამიტომაც „დინამომ" შემადგენლობაში ოთხი ადგილი შემოინახა, განაცხადში 16-ის ნაცვლად 12 კალათბურთელი ჰყავს და ახლო მომავალში უცხოელებით ფიქრობს შევსებას. ვიცე-ჩემპიონები განსაკუთრებით ცენტრს ეძებენ, უკეთესს, ვიდრე სომეხი არმენ ოგანესიანი და ლიტველი ტომას მისკუნასი არიან და აკი ეს ორნი განაცხადში ჯერ არ შეიყვანეს.

ფედერაციის მიერ დადგენილი 16 მოთამაშის ლიმიტი არავის ამოუწურავს. ყველაზე მეტი, 15 კალათბურთელი სსუ-ს ჰყავს, რომლის ამბიციაც რეგულარულ ტურნირში ბოლო ადგილის არდაკავებას თუ გასწვდება. მონაწილენი განსაკუთრებით უფრთხიან ბოლო ადგილს, რადგან ახალი დებულების თანახმად, ჯგუფური ტურნირის უარესი გუნდი საჩემპიონო რბოლას იმთავითვე გამოეთიშება, დანარჩენი რვა კი პლეი ოფიდან გააგრძელებს ბრძოლას. რეგულარულ ჩემპიონატში პირველ ადგილზე გასული გუნდი მერვეადგილოსანს შეხვდება, მეორე — მეშვიდეს და ასე შემდეგ. წლეულს ექვსეული არ იარსებებს და ჯგუფურ ტურნირში ოთხი წრის მერე გუნდები მეოთხედფინალში დაწყვილდებიან. საპლეიოფო სერია ორ გამარჯვებამდე იქნება, მხოლოდ ფინალს ითამაშებენ სამ მოგებამდე. პლეი ოფში დამარცხებულთათვის ჩემპიონატი მეოთხედფინალში ან ნახევარფინალში არ დასრულდება, საჩემპიონო რბოლას გამოთიშულები მე-3, მე-5 და მე-7 ადგილებისთვის ითამაშებენ.

ჩემპიონატს დებიუტანტიც ჰყავს — ბავშვთა კალათბურთის აკადემიის გუნდმა „შევარდენის" ადგილი დაიკავა. ავიაქარხნელებმა აქამდე ყველა ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და უსახსრობის გამო წლეულს დაიშალნენ...

ცალკე თემაა ჩემპიონი „ბასკო". ბათუმელები სერიოზულად თუ არ გაძლიერდნენ, წლეულს სამწლიან ეროვნულ ბატონობას დაასრულებენ. „ბასკო" რომ მოღონიერებას აპირებს, 13-კაციანი განაცხადიდანაც ჩანს, ზღვისპირელები უცხოეთში ეძებენ საჭირო ხალხს.



ლევან მოსეშვილს და „დინამოს" საჩემპიონო შანსი და ამბიცია გაუჩნდათ

ლეგიონერთა ჩამოყვანა გულში ამოუჭრია თსუ-საც და თუ შანსი გამოუჩნდა, ვინმე უცხოტომელის დამატებაზე ალბათ არც „სტუ-ჯეოსელი" იტყვის უარს. განაცხადების შესავსებად გუნდებს იანვრის ბოლომდე შეუძლიათ ლოდინი...

„აზოტმა" თავისივე აღზრდილებით აინაზღაურა ლეგიონერების წასვლით გამოწვეული დანაკლისი. „მაკაბიმ" კი დავით ბერიშვილი ბოლო მომენტში დაუთმო „ბასკოს".

ერთი სიახლეც: „ქუთაისი" შინაურ მატჩებს ბათუმში გამართავს, რუსთავის დარბაზი კი ალბათ ნოემბრიდან ახმაურდება.

**ირაკლი ბერტაია**

## მონაწილენი

### ბასკო

| | | |
|---|---|---|
| კახაბერ შენგელია | 1972 | 204 |
| ლუკა შანიძე | 1982 | 201 |
| ლაშა კეშელავა | 1980 | 200 |
| გოჩა ნონელია | 1977 | 195 |
| დავით ბერიშვილი | 1978 | 178 |
| ნიკა ჩხატარაშვილი | 1986 | 202 |
| ვახტანგ მინაშვილი | 1979 | 201 |
| ლადო სუხიშვილი | 1979 | 203 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 1982 | 200 |
| ირაკლი კეიდია | 1983 | 200 |
| ტიბუ იაშჩუ | 1982 | 185 |
| პლასიდე როდუმტა | 1976 | 208 |
| გიორგი ნიკოლაძე | 1978 | 187 |

მთავარი მწვრთნელი: ნუგზარ კანდელაკი
მწვრთნელი: დავით რიბაშვილი

### დინამო

| | | |
|---|---|---|
| თორნიკე ნინიაშვილი | 1982 | 205 |
| აჰმედ მუპე | 1980 | 202 |
| დავით თორთლაძე | 1973 | 188 |
| ვლადიმერ ბეჟანიშვილი | 1975 | 202 |
| გიორგი მარკოიშვილი | 1983 | 202 |
| რევაზ ჩხეიძე | 1973 | 202 |
| არჩილ ძლენტი | 1975 | 188 |
| მამუკა აბრამიძე | 1973 | 195 |
| ირაკლი ჯაფარიძე | 1973 | 207 |
| გიგი ნაცვლიშვილი | 1980 | 200 |
| ზურაბ ჩუბინიძე | 1973 | 200 |
| ირაკლი ხოშტარია | 1976 | 189 |

მთავარი მწვრთნელი: ლევან მოსეშვილი
მწვრთნელი: ვაჟა მხეიძე

### თსუ

| | | |
|---|---|---|
| ამროსი ორმოცაძე | 1970 | 200 |
| ვალერი კილაძე | 1975 | 203 |
| ლევან ქარაბაკი | 1977 | 203 |
| გოდერძი კორძაძე | 1971 | 206 |
| მამუკა ტურაშვილი | 1969 | 192 |
| ანატოლი ბერიშვილი | 1982 | 188 |
| ზურაბ სანიკიძე | 1985 | 205 |
| დავით ზანგურაშვილი | 1985 | 196 |
| ლაშა გამყრელიძე | 1986 | 180 |
| გოჩა არსიაშვილი | 1976 | 197 |
| ნიკოლოზ ვეფხვაძე | 1981 | 187 |
| ზვიად მიქაძე | 1979 | 192 |

მთავარი მწვრთნელი: გელა წულაძე
მწვრთნელი: გია ჯავახიშვილი

### ქუთაისი

| | | |
|---|---|---|
| ბუბა კვიმსაძე | 1985 | 193 |
| ნოე შანიძე | 1981 | 207 |
| გიორგი პირტახია | 1981 | 191 |
| ლევან შაველაყაძე | 1983 | 192 |
| კახა დარახველიძე | 1981 | 186 |
| ვიქტორ კოლუაშვილი | 1986 | 202 |
| დავით იმნაძე | 1985 | 206 |
| ვანო მოსულიშვილი | 1986 | 196 |
| მანუჩარ ნინუა | 1986 | 180 |
| მამუკა ბოლქვაძე | 1985 | 203 |
| არჩილ ბოლქვაძე | 1986 | 201 |
| გიორგი დოლიძე | 1986 | 193 |

მთავარი მწვრთნელი: ნიკოლოზ დოლაბერიძე
მწვრთნელები: შოთა ჯავახიშვილი, მალხაზ კოხრეიძე

### აზოტი

| | | |
|---|---|---|
| რამაზ გოგობერიშვილი | 1974 | 194 |
| მიხეილ ბერუაშვილი | 1970 | 205 |
| ზაზა გაბისონია | 1973 | 185 |
| ნუგზარ კოკოლიშვილი | 1971 | 198 |
| შოთა მაჭარაძე | 1975 | 205 |
| ლევან ჯიმშელეიშვილი | 1977 | 195 |
| დავით არნივიძე | 1983 | 176 |
| იური დანელიანი | 1981 | 200 |
| გეგი ლიპარტელიანი | 1985 | 193 |
| ლევან ტყეშელაშვილი | 1983 | 203 |
| ილია გოგსაძე | 1984 | 194 |
| კახაბერ კილაძე | 1985 | 195 |

მთავარი მწვრთნელი: ოთარ ხმელიძე
მწვრთნელი: ბადრი კიკვიძე

### აკადემია

| | | |
|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | 1986 | 192 |
| ბესიკ ლეჟავა | 1986 | 191 |
| ნოდარ ბექაური | 1986 | 198 |
| ნიკოლოზ დერიუგინი | 1985 | 201 |
| გიორგი ხურცია | 1987 | 201 |
| გიორგი გურასპაული | 1986 | 180 |
| დავით გიორგობიანი | 1986 | 195 |
| დავით გვიმრაძე | 1986 | 203 |
| ტატო ჯანეზაშვილი | 1986 | 205 |
| რევაზ ათანელაშვილი | 1986 | 206 |
| გიორგი ზამბახიძე | 1983 | 182 |

მთავარი მწვრთნელი: დავით უსტიაშვილი

### სტუ-ჯეოსელი

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრე დავითულიანი | 1974 | 195 |
| გიორგი გაგნიძე | 1981 | 192 |
| ლაშა ლოსაბერიძე | 1982 | 198 |
| დავით მუშკუდიანი | 1980 | 206 |
| ვასილ ოთიურიძე | 1976 | 202 |
| კოტე ტულუში | 1984 | 193 |
| გულივერ აბალკაცი | 1976 | 202 |
| ლექსო ლაფანაშვილი | 1987 | 195 |
| შიო ხეცურიანი | 1983 | 195 |
| გიორგი მარხვაშვილი | 1985 | 190 |
| ჟოლიეტ ტუჯანი | 1980 | 200 |

მთავარი მწვრთნელი: ნუგზარ ჭეიშვილი
მწვრთნელი: ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

### მაკაბი

| | | |
|---|---|---|
| მამუკა ფიცხელაური | 1976 | 205 |
| გივი ვაშაკიძე | 1983 | 204 |
| კირილე ტატუნაშვილი | 1984 | 204 |
| ირაკლი ბერიშვილი | 1978 | 180 |
| ირაკლი კონჯარია | 1980 | 202 |
| ნიკოლოზ ნოზაძე | 1977 | 180 |
| გიორგი აბულაშვილი | 1985 | 200 |
| გიორგი ერგემლიძე | 1983 | 203 |
| შალვა კრიხელი | 1984 | 196 |
| თორნიკე ჯანელიძე | 1982 | 207 |
| იოსებ ნინოშვილი | 1981 | 190 |

მთავარი მწვრთნელი: ჯამლეტ ხუხაშვილი
მწვრთნელები: მიხეილ ხუხაშვილი, ლევან ინწკირველი

### სსუ

| | | |
|---|---|---|
| დავით კვაჭაძე | 1981 | 197 |
| ზურაბ ტაბატაძე | 1975 | 204 |
| გიორგი ძლენტი | 1980 | 178 |
| ივანე აბულაძე | 1981 | 205 |
| თემურ კანკია | 1983 | 193 |
| მიხეილ ჩიტაშვილი | 1985 | 186 |
| ბეჟან ქვილითაია | 1970 | 202 |
| დავით ურიდია | 1986 | 206 |
| დავით ბარბაქაძე | 1985 | 203 |
| ლევან ლუკავა | 1985 | 200 |
| მამუკა ხოშტარია | 1986 | 195 |
| ირაკლი სორდია | 1985 | 192 |
| შოთა პატარაია | 1982 | 176 |
| ალექსი ბენდიაშვილი | 1981 | 186 |
| ვახტანგ ქვილითაია | 1976 | 201 |

მთავარი მწვრთნელი: ვაჟა კვარაცხელია
მწვრთნელი: ირაკლი ძიძიგური

**5 ოქტომბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| აკადემია — დინამო | 11.00 |
| თსუ — ბასკო | 13.00 |
| სტუ ჯეოსელი — ქუთაისი | 14.45 |
| მაკაბი — აზოტი | 16.30 |

**6 ოქტომბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| სსუ — ქუთაისი | 11.30 |
| აკადემია — მაკაბი | 13.15 |
| სტუ ჯეოსელი — ბასკო | 16.45 |

**12 ოქტომბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| თსუ — აკადემია | 12.00 |
| დინამო — აზოტი | 13.45 |
| ბასკო — მაკაბი | 18.00 |

**13 ოქტომბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| აკადემია — სტუ ჯეოსელი | 11.30 |
| აზოტი — სსუ | 13.15 |
| თსუ — დინამო | 15.00 |
| ქუთაისი — მაკაბი | 18.00 |

**19 ოქტომბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| აკადემია — თსუ | 11.00 |
| სსუ — ბასკო | 12.45 |
| დინამო — ქუთაისი | 14.30 |
| მაკაბი — სტუ ჯეოსელი | 16.15 |

**20 ოქტომბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| სსუ — მაკაბი | 11.00 |
| თსუ — ქუთაისი | 12.45 |
| დინამო — ბასკო | 14.30 |
| აზოტი — აკადემია | 16.45 |

**26 ოქტომბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| თსუ — მაკაბი | 13.00 |
| დინამო — სტუ ჯეოსელი | 14.45 |
| ქუთაისი — აზოტი | 18.00 |

**27 ოქტომბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| სსუ — დინამო | 13.00 |
| სტუ ჯეოსელი — თსუ | 14.45 |
| ბასკო — აზოტი | 18.00 |

**9 ნოემბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| სტუ ჯეოსელი — სსუ | 13.00 |
| აზოტი — თსუ | 14.45 |
| ქუთაისი — აკადემია | 18.00 |

**10 ნოემბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| ბასკო — აკადემია | 18.00 |

**24 ნოემბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| დინამო — აკადემია | 13.00 |
| სსუ — სტუ ჯეოსელი | 14.45 |
| აზოტი — მაკაბი | 16.30 |
| ბასკო — თსუ | 18.00 |

**25 ნოემბერი, ორშაბათი**

| | |
|---|---|
| აკადემია — აზოტი | 13.00 |
| მაკაბი — სსუ | 14.45 |
| სტუ ჯეოსელი — დინამო | 16.30 |
| ქუთაისი — თსუ | 18.00 |

**30 ნოემბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| მაკაბი — ქუთაისი | 11.00 |
| აკადემია — ბასკო | 12.45 |
| დინამო — თსუ | 14.30 |
| თსუ — სტუ ჯეოსელი | 16.15 |

**1 დეკემბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| აკადემია — ქუთაისი | 11.00 |
| სსუ — თსუ | 12.45 |
| სტუ ჯეოსელი — მაკაბი | 14.30 |
| აზოტი — ბასკო | 16.15 |

**7 დეკემბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| მაკაბი — აკადემია | 13.00 |
| სსუ — აზოტი | 14.45 |
| დინამო — თსუ | 16.30 |
| ბასკო — სტუ ჯეოსელი | 18.00 |

**8 დეკემბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| სსუ — აკადემია | 13.00 |
| მაკაბი — თსუ | 14.45 |
| აზოტი — დინამო | 16.30 |
| ქუთაისი — სტუ ჯეოსელი | 18.00 |

**14 დეკემბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| სტუ ჯეოსელი — აკადემია | 13.00 |
| მაკაბი — ბასკო | 14.45 |
| თსუ — აზოტი | 16.30 |

**15 დეკემბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| აკადემია — თსუ | 13.00 |
| დინამო — მაკაბი | 14.45 |
| აზოტი — ქუთაისი | 16.30 |

**17 დეკემბერი, სამშაბათი**

| | |
|---|---|
| აზოტი — სტუ ჯეოსელი | 15.00 |

**21 დეკემბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| ქუთაისი — დინამო | 16.00 |
| ბასკო — სსუ | 18.00 |

**22 დეკემბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| ქუთაისი — სსუ | 16.00 |
| ბასკო — დინამო | 18.00 |

**23 დეკემბერი, ორშაბათი**

| | |
|---|---|
| ბასკო — ქუთაისი | 18.00 |



24 დღეც და ნბა-ს მეორე ქართველი დააჭაშნიკებს. ნიკა ცქიტიშვილი ბოლო მზადებას გადის და უეჭველია, კარსმომდგარ სეზონს სრულფასოვან დენვერელად შეხვდება. „ნაგიტსის" მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკის მისთქვის უთქვამს, ვხედავ, როგორი მონდომებით ვარჯიშობ, სეზონი დაიწყება და შრომას დაგიფასებო. ეს გუშინ ნიკამ დენვერიდან გვამცნო... ორშაბათიდან „ნაგიტსი" სრულად შეიკრიბა და ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგა. ახლა ჩვენებურს მხოლოდ ფიზიკურად როდი ამზადებენ ოკეანგაღმელები. ცქიტიშვილს ლექციებს უკითხავენ პროფესიონალი კალათბურთელის ცხოვრების შესახებ, ნიკამაც საუბარი აქედან დაიწყო

# ცქიტიშვილს ამერიკაში ცხოვრებასაც ასწავლიან

## ფრთხილად, ნიკა! ქალი ქუჩასავით საშიშია

— ნიუ ჯერსიში ნბა-ს თითქმის ყველა ახალბედა შევიკრიბეთ. ხუთი დღე ლექციებს გვიტარებდნენ აქაური ცხოვრების შესახებ. ყველაფერი აგვიხსენს, მოძრაობის წესებით დაწყებული, ბანკში ფულის შეტანა-გამოტანით დამთავრებული. საჭირო რჩევებსაც გვაძლევდნენ, განსაკუთრებით ქალებთან ურთიერთობებზე ამახვილებდნენ ყურადღებას: ფრთხილად იყავით, ბევრი ეცდება, თავი დაგაფეხმძიმებინოთ და შემდეგ ამით რამეს გამორჩესო.

**— ხუთი დღე დასჭირდა მერე მაგ საქმეს?**

— კი. თანაც დილის ცხრა საათზე რომ გვეწყებოდა ლექციები, დაღამებამდე გრძელდებოდა. სკოლა გამახსენდა, მერხებზე ვისხედით და ოთახიდან მხოლოდ 5-10 წუთით გავდიოდით ხოლმე დასასვენებლად. ესეთ გაკვეთილებს თურმე ყველა ახალბედას უტარებენ. დრო რომ ყოფილიყო, ალბათ კიდევ გააგრძელებდნენ ჭკუის დარიგებას. 1 ოქტომბერს ნბა-ს კლუბთა უმეტესობას შეკრება ეწყებოდა...

**— „დენვერსაც" მათ შორის. როგორც იქნა, გაიცანი გუნდის ვეტერანები?**

— გავიცანი, 1 ოქტომბერს სრულად შევიკრიბეთ. ჰოვარდი, მაკლაუდი და სხვა წამყვანი მოთამაშეებიც შემოგვიერთდნენ. მათზე იგივეს ვიტყვი, რასაც დანარჩენებზე. ურთიერთობის მხრივ ყველა კარგი პიროვნებაა.

**— გუნდის ლიდერები მკვეთრად გამოხატავენ სხვებზე უპირატესობას?**

— მოედანს გარეთ ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ვარჯიშისას კი ყველაფრიდან ჩანს მათი ლიდერობა. პირადად მე ხშირად მაძლევენ რჩევებს, ცდილობენ, გამოცდილება გამიზიარონ.

**— შეკრების მერე მნიშვნელოვნად შეიცვალა შენი დღის განრიგი?**

— ცხადია. ახლანდელთან შედარებით წინა თვეები დასვენებად მეჩვენება. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ, ახალბედები კი ერთი საათით ადრე მივდივართ დილის ვარჯიშზე. სანამ დანარჩენები შემოგვიერთდებიან, ტრენაჟორებზე ვმუშაობთ. შუადღისას, ვარჯიშს რომ მოვრჩებით, იქვე, გასახდელში მოწყობილ მაგიდებზე ვსაუზმობთ. საღამოს ვარჯიშამდე შინ მივდივარ და ძალების აღსადგენად ვიძინებ, თორემ ისეთი რეჟიმი გვაქვს, სხვანაირად ვერ გავუძლებ.

**— სხვებსაც შენსავით უჭირთ?**

— არა, ახლა ვინც შემოგვიერთდა, იმათ რა დაღლით, მთელ ზაფხულს ისვენებდნენ, თან ნბა-ში თამაშის საკმაო გამოცდილებაც აქვთ. უფრო ახალწვეულებს გვესაჭიროება-ხოლმე ძალების აღდგენა, განსაკუთრებით კი მე, „ბენეტონიდან" წამოსვლის შემდეგ ფაქტობრივად ვარჯიში არ შემიწყვეტია.

**— ეგ ამბავი ბზდელიკსაც ეცოდინება...**

— კი, იმ დღეს მელაპარაკა ამის შესახებ. ვხედავ რომ ძალიან მონდომებული ხარ. რაც ყველაზე მთავარია, ვარჯიშებს ფუჭად არ ჩაუვლია და შენით კმაყოფილი ვარო. დამპირდა, სეზონი დაიწყება და ყველაფერს დაგიფასებო.

**— მაშ, გამოდის, „დენვერის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული გქონია...**

— ჰო, აბა, სხვანაირად როგორ უნდა დამიფაროს, თუ არ მათამაშა.

**— „დენვერში" დიდი კონკურენციაა?**

— საკმაოდ. 19 კალათბურთელი ვართ. აქედან ოთხს წასვლა მოუწევს, სამი კი სარეზერვო შემადგენლობაში მოხვდება.

**— სხვა ახალბედები თუ მოხვდებიან 12კაცში?**

— ვერაფერს ვიტყვი. ისე, არც ილარიო და სავოვიჩი უნდა დარჩნენ თამაშგარეთ. ბზდელიკი არც მალავს, რომ ახალი გუნდის აშენებას ახალგაზრდების დახმარებით აპირებს. გამოცდილთა უმრავლესობასთან სამთვიანი კონტრაქტია გაფორმებული და თუ ვინმე არ მოეწონებათ, უპრობლემოდ გაუშვებენ. ყველაფერი საგამოფენო მატჩებში გამოჩნდება. პირველად „დალასს" ვეთამაშებით 10 ოქტომბერს და სეზონის დაწყებამდე კიდევ ხუთ შეხვედრას გავმართავთ.

**— ეს იგი კემპებზე აღარ წახვალ. დრაფტის მერე ხომ სხვადასხვა ქალაქში გიწევდა სიარული...**

— ამიერიდან აღარ წავალ, „დენვერის" ხელმძღვანელობამ მართლაც ბევრ შეკრებაზე მიმავლინა. სეზონთაშორის პერიოდში თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობს სხვადასხვა საწვრთნელი შეკრება და ვისაც რომელში სურს, იქ მიიღებს მონაწილეობას.

**— მათში მონაწილეობა ფული ელირებოდა, შენ იხდიდი?**

— კემპებში მონაწილეობისა და მგზავრობის ფულს „დენვერი" გადაიხდიდა, ალბათ. მე არაფერი დამიხარჯავს. გუნდის ხელმძღვანელები მეუბნებოდნენ, აქ და აქ წახვალო და, ცხადია, ფინანსურ უზრუნველყოფასაც ისინი განსწევდნენ. ხოლო თუ კალათბურთელი ნბა-ში არ თამაშობს, მის სამონაწილეო თანხას მენეჯერი იხდის.

**— საგამოფენო მატჩებს რა განწყობით ხვდები, ხომ არ ნერვიულობ?**

— არა, პირიქით, „დალასთან" თამაშს კარგ ხასიათზე ვხვდები. ახლახან დენვერელებმა ერთმანეთში ვითამაშეთ და თავი გამოვიჩინე. მატჩი მაღალ დონეზე ჩატარდა, მსაჯები მოვიწვიეთ და მაყურებელიც ბლომად მოვიდა. ჩემს გუნდში ანდერსონი, სავოვიჩი, ბლუნტი, ვაიტი და სხვები თამაშობდნენ. იქით უფრო გამოცდილნი იყვნენ. 6 სამქულიანი ჩავაგდე, სულ კი 30 ქულა დავაგროვე. ყველა კმაყოფილი იყო ჩემი თამაშით, ბზდელიკმა განსაკუთრებით მაქო.

**— ისევ ფრთის პოზიციაზე ითამაშე თუ ბზდელიკმა სხვა ამპლუა მოგინახა?**

— უკვე გადაწყვეტილია, ამ პოზიციაზე ვითამაშებ. ისე კი გამიმართლა, ამ ამპლუას რომ კარგად მოვერგე, რადგან ოთხ ნომერზე „დენვერში" დიდი კონკურენციაა. ჰოვარდი, ბოუენი, პარვი, ანდერსონი, ბლუნტი — გამიჭირდებოდა ამ კალათბურთელებთან ძირითადში დასამკვიდრებლად ჭიდილი.

**— ახლა არ გაგიჭირდება?**

— როგორ არა. „დენვერის" ხუთეულში მოხვედრა ალბათ უძნელესი იქნება, ჩემი კონკურენტები მაკლაუდი და ვაიტი არიან. იმედს განუწვეტელი ვარჯიში და ბოლო მატჩში მიღწეული წარმატება მაძლევს. მთავარია, ჩემით ყველა კმაყოფილია.

**— დენვერელები ალბათ იმიტომაც გემადლიერებიან, 1 ოქტომბრიდან მოყოლებული, გუნდის ვებ-გვერდზე ვარჯიშების დღიურს რომ აქვეყნებ. კალათბურთთან ერთად წერაშიც იწაფები...**

— ბზდელიკმა და ჟურნალისტებმა რატომღაც მე ამომარჩიეს და ყოველი ვარჯიშის შემდეგ დღის ამბების აღწერა მიწევს. პირადად მე არ ვწერ, საღამოს ერთი ჟურნალისტი მოდის და მას ვუყვები.

**— ესე იგი, თავისუფალ დროსაც ვერ ისვენებ?**

— თავისუფალი დრო არ მაქვს. თუ ვისვენებ, მთელ გუნდთან ერთად. ერთი კვირის წინ ბზდელიკმა სიურპრიზი მოგვიმზადა და სავარჯიშოდ მისულნი ბოულინგის სათამაშოდ წაგვიყვანა. ერთხელაც რეპერების კლუბ „ბრაუნ შუგაში" ვიყავით.

**— ზემოთ თქვი, ვარჯიშებსშორის შინ მივდივარ დასაძინებლადო. ბინას ეძებდი და ხომ არ გიშოვია?**

— კი, ერთი კოხტა სახლი შევარჩიე და ალბათ მომავალ კვირაში გადავალ. ისე, ბევრი ძებნა აღარ დამჭირდა, „დენვერიდან" „დალასში" გადასულმა ნიკ ვან ექსელმა მომყიდა.

**— ნაკრებზეც გკითხავ: ახლა, როცა შენი „დენვერის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ფაქტობრივად გადაწყვეტილია, ალბათ, საქართველოს ნაკრებს ველარ დაეხმარები...**

— მაგაზე უკვე მელაპარაკა გუნდის უფროსობა. ნბა-ს სეზონის პერიოდში გამიშვებენ და თუ უკითხავად წამოვედი, დიდ ჯარიმას დამაკისრებენ. ისე, არც სეზონთშორის პერიოდში შემიძლია ნაკრებში თამაში, ამისთვის „დენვერს" საქართველოს კალათბურთის ფედერაცია უნდა შეუთანხმდეს. როგორც აქ ამბობენ, ნაკრებში გამოძახებული მოთამაშის ქვეყნის ფედერაციამ ფინანსური გარანტიები უნდა წარმოადგინოს, რომელსაც კალათბურთელის დაშავების შემთხვევაში აანაზღაურებს. დივაცში, სტოიაკოვიჩში, რადმანოვიჩში დიდ საკონპენსაციო თანხას გამოიღა იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაცია.

**— იუგოსლავია ახსენე და ბოლოსთვის მსოფლიოს ჩემპიონებზეც გკითხავ: ამას წინათ ერთ-ერთი ქართული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში მოთქვამს, იუგოსლავიელებმა კლასის ხარჯზე დაამარცხეს ამერიკელებიო...**

— მე ვთქვი? არავისთან მილაპარაკია და რომც მელაპარაკა, მასეთ რამეს არ ვიტყოდი. იუგოსლავიელებმა კი გაიმარჯვეს, მაგრამ კლასით ამერიკელებთან როგორ მივლენ. ორისამი მოთამაშე შეიძლება, მაგრამ დანარჩენები ნბა-ს წამყვანი მოთამაშეებისგან შორს დგანან. ამერიკელთა მარცხს უფრო შემთხვევითობას და საკუთარ თავში დაჯერებულობას მივაწერდი.

**ირაკლი ბერტაია**

# რეალის მრავალეჭამიერი მადრიდელები ვარსკვლავებს გაეთამაშნენ

3 ოქტომბერი

**რეალი 85:91 ვარსკვლავები**

**რეალი: ერეროსი (18), ჰოკინსი (2), ანგულო (7), ალსტონი (6), ერნანდესი (11); დიგბო (14), ტარლაჩი (14), ვიქტორიანო (13), ლამპე, ნადუ**

**ვარსკვლავები: იდნი (16), მაკდონალდი (9), ნიკოლა (8), თურქჯანი (2), ალვერტისი (2); კაკიუზისი (18), ვუიჩიჩი (12), ფუჩკა (11), სკოლა (8), ნავარო (3), შელეფი (2), ვეისი**

სახელოვანი მადრიდული სპორტკლუბი „რეალი" წლეულს 100 წლისა მოიყარა და ასაკის დამრგვალებას მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ღონისძიებით აღნიშნავს. მართალია, სრულიად „რეალის" საფეხბურთო განაკვეთმა გეგმა ვერ შეასრულა და წლეულს ყველა ის ტურნირი ვერ მოიგო, რომელშიც მონაწილეობდა, მაგრამ ამით ღირსება არ მოჰკლებია ბებერი კონტინენტის ყველაზე ტიტულუხვ საფეხბურთო კლუბს. იუბილესთან დაკავშირებით ფეხბურთელებმა საჩვენებელი შეხვედრა გამართეს და „სანტიაგუ ბერნაბეუზე" ამხანაგურად შეეთამაშნენ მსოფლიოს რჩეულ მობურთალთა სახელდახელოდ შეკრებილ გუნდს.

„რეალი" მარტო საფეხბურთო როდი არსებობს. სპორტკლუბს კალათბურთშიც ჰყავს ევროგრანდი და მართალია, კალათბურთელები საზოგადო პოპულარობით ჩამორჩებიან ფეხბურთელებს, თას-პრიზთა მუზეუმი არანაკლებ შთამბეჭდავი აქვთ. ერთი სიტყვით, ცდილობენ არ ჩამორჩნენ ფეხბურთელ ძმებს და მართალია, საკალათბურთო „რეალი" 100 წლისა არაა, მაგრამ მაღალმა მადრიდელებმა მაინც აღნიშნეს საუკუნოვანი იუბილე — შინ მიიწვიეს ევროლიგის ვარსკვლავები და ზოგადსარეალო წლევანდელი ზეიმის გვირგვინში თავიანთი [illegible] ყვავილიც ჩააწნეს.

თამაში ფიცხელი, თან საცქერად საამო გამოდგა. აქეთ ანგულო-ერეროსი დაფრინავდნენ, იქით იდნი-მაკდონალდის დუეტი იტაცებდა. საბოლოოდ „რეალმა" წააგო მიუხედავად იმისა, რომ ევროვარსკვლავებს აკლდათ დეიან ბოდიროგა. ბოდიროგა ნამდვილი სპორტსმენია და ამ საჩვენებელ მატჩში ღლაბუცს თავის „ბარსელონაში" ესპანეთის პირველობაზე თამაში არჩია. მისი ადგილი ევროვარსკვლავთა თაიგულში ასევე ბარსელონელმა გრეგორ ფუჩკამ დაიკავა და „ბარსელონასთვის" მოსისხლე „რეალი" ისე დაჩხვლიტა, ამას ჭეშმარიტი კატალონიელი ვერ იზამდა. შოუმატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი „ბენეტონის" ცქვიტი ამერიკელი გამთამაშებელი თაიუს იდნი დაასახელეს, ვინაც ნამდვილი სეირი უჩვენა იუბილარებს.

**ჭოტე ყორშია**



2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

ჩვენი მეტოქე

# ეს იქნება ნერვების ომი!

რუსეთი

## არ დაგავიწყდეთ, საქართველოს ვეთამაშებით

**მსოფლიოს** თასის შესარჩევ ტურნირში ბორჯღალოსანთა მთავარმეტოქის, რუსეთის ნაკრების მწვრთნელებმა ალექსანდრ პერვუხინმა და სამხრეთაფრიკელმა ჯეიმს შტოფბერგმა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა კრასნოიარსკიდან აბარგეს და მოსკოვში ჩაიყვანეს 6-დღიან შეკრებაზე. მწვრთნელების თქმით, მოსკოვში გაცილებით უკეთესი პირობებია და თბილისში გადმოფრენაც გადაჯდომების გარეშე მოუწევთ.

რუსეთის ნაკრები მოსკოვის სარაგბო კლუბ „სლავას" ბაზაზე ვარჯიშობს. შეკრებაზე 29 მორაგბეა გამოძახებული, მაგრამ სადღეისოდ მწვრთნელთა განკარგულებაში 25 „დათვია". საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერები სერგეი სერგეევი, ვიაჩესლავ გრაჩოვი, კონსტანტინ რაჩკოვი და გარუსებული ყაზახი მურატ უამბაევი ამ უქმეებზე თავთავიანთ კლუბებში ითამაშებენ და ორშაბათს შეუერთდებიან ნაკრებს.

რუსებს დაუბრუნდათ ძირითადი შემადგენლობის გარემარბი ვლადიმირ სიმონოვი, რომელმაც მუხლის ტრავმა მოირჩინა. გუნდშია გამოჯანმრთელებული შერკინების გამთამაშებელი ალექსანდრ იანიუშკინიც.

რუსთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ალექსანდრ პერვუხინმა თვისტომ ჟურნალისტებს მომავალი მატჩზე ეს უთხრა: „ძალიან მძიმე მატჩი გველის. არ დაგავიწყდეთ, სტუმრად ვეთამაშებით საქართველოს, რომელიც შინ სულ სამჯერ დამარცხდა. საქართველოს ნაკრები მთელი ზაფხული ემზადებოდა ამ მატჩისთვის. არც ჩვენ დაგვიკარგავს უქმად დრო. ასე რომ, ორივე კარგად ვართ მომზადებული. მატჩის ბედს ნერვების სიმტკიცე და კლასი გადაწყვეტს".

საბოლოო, 22-კაციან შემადგენლობას რუსთა თავკაცები თბილისში გამოფრენამდე ერთი დღით ადრე, 10 ოქტომბერს დაასახელებენ. ჯერ კი, შეკრებაზე ეს 29 მოთამაშე ჰყავთ:

**მორკინალები:** ოლეგ შუკაილოვი, იგორ ნიკოლაიჩუკი, ვალერი ფედჩენკო, რენე ფოლხენკი, იოჰან ჰენდრიქსი, რაშიდ საგდეევი, ოლეგ აზარენკო (ყველა „კრასნი იარი"), ვიაჩესლავ ზიკოვი, რომან რომაკი (ორივე „ენისეი-სიბტიაჟმაში"), ალექსეი ტრავკინი, ალექსანდრ ხროკინი (ორივე ვვა), ვიაჩესლავ გრაჩოვი, სერგეი სერგეევი (ორივე „მონტობანი"), სერგეი შუკინი („სლავა"), მურატ უამბაევი („გრენობლი").

**უკანა ხაზი:** იგორ დიმჩენკო, ალექსეი კორობეინიკოვი, პაველ ნოვიკოვი, სერგეი კუზმენკო (ყველა „ენისეი-სიბტიაჟმაში"), ვლადიმირ სიმონოვი, ვერნერ პიტერსი, ალექსანდრ ზაკარლიუკი (ყველა „კრასნი იარი"), ანდრეი კუზინი, ვიქტორ მოტორინი, ალექსეი სერგეევი (ყველა ვვა), ოლეგ ჟუკოვი („ფილი"), კონსტანტინ რაჩკოვი („მონტობანი"), სერგეი სუგრობოვი („სლავა"), ალექსანდრ იანიუშკინი („პენზა").

**ბაჩო სვანიძე**



ალექსანდრ პერვუხინი

ნუგზარ ვარდოსანიძის ფოტო






პარადორნ შრიჩაფანმა ლეიტონ ჰიუიტს ნირი წაუხდინა

# პა-რა-დორნ შრი-ჩა-ფა-ნი

## ყოჩაღმა ტაილანდელმა თავისი გვარ-სახელი ლეიტონ ჰიუიტსაც დაამახსოვრა

**კრემლის თასი**
მოსკოვი. ხალიჩა
საპრიზო 2,224 მილიონი $

**ვაჟები**

**მეორე წრე**

**მარატ საფინი (1, რუსეთი)** — ანდრე სა (ბრაზილია) 7:6 (7:3), 4:6, 7:5; **ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი)** — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:2; **პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი)** — ირჟი ნოვაკი (4, ჩეხეთი) 4:6, 6:3, 6:4

ტურნირზე გუშინწინ მომხდარ ამბავთა შესახებ გუშინვე გიამბეთ — გეხსომებათ, ამათგან ყველაზე მთავარი ბულგარელი მაგდალენა მალეევას მიერ უფროსი შავდის, ვინუს უილიამსის ძლევა გახლდათ. ჰოდა, რაკილა რაზეც გვისაუბრია, მასზედ ხელმეორედ საუბარს აზრი არა აქვს, ჩვენც იმ მატჩებისა ვთქვათ, ჩვენი თვალდახედვის გარეთ რომ დარჩა.

ასეთი კი იმ დღეს რამდენიმელა იყო. ერთ მათგანში ტურნირის ზედიზედ 5-გზის გამარჯვებულმა და წლეულს ზედიზედ მეექვსე ტიტულის მაძიებელმა ევგენი კაფელნიკოვმა მე-13 საპირადო შეხლაში მერვე მარცხი აგემა გერმანელ ნიკოლას კიფერს, ვისაც — ბარემ აქვე მოვიგონოთ — შარშანდელ ფინალშიც აჯობა.

კაფელნიკოვი: „კიფერთან ჩემს შარშანდელ გამარჯვებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ახლანდელსაც — ჩემი მიზანი ხომ ისაა, აქ მომგებიანი სერია არ შემიწყდეს... შეიძლება, ჩემს საუკეთესო ჩოგბურთს არ ვთამაშობ, მაგრამ აქაური ლიანგი ისე მაგულიანებს, რომ ენერგიის საოცარ მოზღვავებას განვიცდი".

მისგან განსხვავებით, საოცრად ფიცხელი ბრძოლის გადატანა მოუხდა უცაბედად გაჯიქებულ ბრაზილიელ ანდრე სასთან მარატ საფინს. სა წლევანდელი უიმბლდონის მეოთხედფინალისტი და ჯიქური მეტოქეა, ამიტომ მასთან ტოლსწორ პაექრობას ნაღდად მოველოდიო, ამბობდა ნამატჩევს. როჯერ ფედერერთან გასამართი მეოთხედფინალური შეხლის შესახებ კი აი, ასე დასძინდა:

„ ეს არ იქნება იოლი მატჩი. მასთან სამჯერ წამიგია და კარგად ვიცი, რისი მაქნისიცაა. ვიცი, რომ ვერაფრით გავაოცებ და ამიტომ ჩვენს შანსებს თანაბრად ვაფასებ. ერთი ეგაა, ქომაგებისა მეიმედება — როგორც ვატყობ, ჩოგბურთს ცოტა მეტი მაყურებელი... რაღაც-რაღაცებში უკეთესად ერკვევიან და არც საკუთრივ ქომაგობის ამბავი ეშლებათ".

**იაპონიის ღია პირველობა**
ტოკიო. ხარდი
საპრიზო 970 ათასი $

**ვაჟები**

**მესამე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია)** — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:7 (4:7), 6:2, 6:4; **კენეტ კარლსენი (დანია)** — ხუან იგნასიო ჩელა (5, არგენტინა) 6:7 (4:7), 7:6 (7:5), 7:6 (7:3); **პარადორნ შრიჩაფანი (8, ტაილანდი)** — ტაკაო სუძუკი (იაპონია) 3:6, 6:1, 6:4

**მეოთხედფინალი**

**პარადორნ შრიჩაფანი (8, ტაილანდი)** — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 6:4, 6:3; **მაგნუს ნორმანი (შვედეთი)** — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:6 (7:5), 7:5

**ქალები**

**მეორე წრე**

**სარა ტეილორი (აშშ)** — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3, ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:3); **ჯილ კრეიბასი (აშშ)** — ემანუელე გალიარდი (4, შვეიცარია) 6:3, 4:6, 6:3

**მესამე წრე**

**ტამარინე ტანასუგარნი (2, ტაილანდი)** — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:4, 1:6, 6:1; **სილვია ტალაია (ხორვატია)** — აი სუგიამა (1, იაპონია) 3:6, 7:6 (7:5), 6:3

სულ რამდენიმე თვეა, რაც სახელი და გვარი — პარადორნ შრიჩაფანი — სალაღობო ეგზოტიკიდან ანგარიშგასაწევ საჩოგნაო რეალობად გადაგვექცა. ყველაფერი კი უიმბლდონის პირველი წრიდან დაიწყო, როცა ამგვარად წოდებულმა 23 წლის პირბუტყმა ტაილანდელმა თვით ანდრე აგასი გააბუნძურა. მას მერე პარადორნმა ბრწყინვალე სამაგარსაფარო სეზონი ჩაითამაშა, კიდევ მძაფრ [illegible] მეჩოგნეს სძლია და [illegible] ტაილენდურ ტურნირზე კარიერის პირველი ტიტულიც მიითვალა.

ამხელა შესავლიანობა კი საიმისოდ დაგვჭირდა, რათა ტაილანდელის მორიგი წარმატების შესახებ გვეუწყა — აზიელთა უპირველესმა მეჩოგნემ გუშინ კაცთა ამქრის უსტაბაში, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტიც დაიფრინა. მის მძლავრ უკანახაზურ გლაჯუნსა და მოხშირებულ ეისებს ლეიტონმა მხოლოდ არადამაჯერებელი გარჯა და აურაცხელი შეცდომები დაუპირისპირა.

„მან შესანიშნავად ითამაშა, მე კი უბრალოდ ჩავფლავდი — აი, ასე ხსნიდა მატჩის შედეგს ძლეული ოზბიჭი — სამკვირიანი უთამაშებლობის ბრალი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ ჯანზე თავიდანვე ვერ ვიყავი... თუმცა დაუნახველობა იქნებოდა, ყველაფერი ჩემი თავისთვის დამებრალებინა. მისმა ბარაქიანმა თამაშმა ხომ წლეულს ჩემამდე კიდევ რამდენიმე ბობოლაც იმსხვერპლა".

ჰიუიტის გაგდების შემდეგ პარადორნი ტურნირს ერთადერთ განთესილ მოთამაშედ შერჩა.

სხვაფრივ — თავისი წარმატებული სვლა განაგრძო მსოფლიოს ოდინდელმა მეორემეჩოგნემ და 2000 წლის როლანგაროსის ფინალისტმა მაგნუს ნორმანმა. ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ხუან კარლოს ფერეროს ოტების კვალად 26 წლის შვედმა, რომელიც შარშან დაშავებული ბარძაყის გამო რეიტინგსიაში ამჟამინდელ 210-ე ადგილამდე ჩასრიალდა, თვისტომსეხნია ლარსენსაც აჯობა. ეს მისი მეექვსე საამტურნირო გამარჯვება გახლდათ, რაკილა, როგორც დაბალრეიტინგოსანს, საკვალიფიკაციო ეტაპებიც გავლაც მოუხდა. ეს ექვსივე მატჩი მან სეტისწაუგებლად მოიგო.

რაც შეეხება ქალთა მხარეს, უკეთესი ბედი განთესილებს არც იქ ეწიათ. გუშინ იქიდან პირველი ჩოგნის მქნეველი და ადგილობრივთა ჯილაგოგო, აი სუგიამაც დაითხოვეს.

**ლევან ძელაურაძე**



## დასავლეთ კონფერენცია
### წყნარი ოკეანის დივიზიონი

# ფიფქია ჩემი ქალბატონია, მიკი მაუსი პატრონი




დალასის ლიდერი მაიკ მოდანო

### სან ხოსე შარქსი

**წავიდნენ:** ფორვარდი სტეფან მატო; მცველი გერი სუტერი

*2001-02: 99 ქულა და პირველი ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში მეორე რაუნდში გავიდა*

სან ხოსე ერთადერთი გუნდია, რომელსაც აღნიშვნის ღირსი ერთი ჰოკეისტიც არ შეუძენია (ორი ფარმკლუბელი რა სახსენებელია), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ზაფხულში გუნდის ბოსები გულხელდაკრეფილნი ისხდნენ. მათ ყველა ლიდერთან გააახანგრძლივეს კონტრაქტი, მათ შორის ტეემუ სელიანესთანაც, რაც იმას ნიშნავს, რომ წლეულს გუნდს კიდევ უფრო მეტი მოეთხოვება — თანმიმდევრული პროგრესის ლოგიკური გაგრძელება კი ის იქნება, თუ კლუბი თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება. სანხოსელებმა ბოლო წლებში საპლეიოფო გამოცდილება მიიღეს, რაც ასერიგად აკლდათ. ეგებ სწორედ სან ხოსე გახდეს ის კლუბი, რომელიც შეეცდება, დასავლეთის სამი მონსტრის დეტროიტის, კოლორადოსა და დალასის ჰეგემონიის დამხობას. თუ ევგენი ნაბოკოვი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ექსტრაკლასის მეკარედ, კბილბასრი „ზვიგენები" შორს წავლენ.

### დალას სტარზი

**მოვიდნენ:** ფორვარდები სკოტ იანგი, ბილ გერინი, ულფ დალენი; მცველი ფილიპ ბუშე; მეკარეები რონ ტაგნატი, კორი ჰირში; მწვრთნელი დეივ ტიპეტი

**წავიდნენ:** მეკარე ედ ბელფორი; ფორვარდები რენდი მაკეი, ბრენტ გილკრისტი; მცველი ბრედ ლაკოვიჩი; მწვრთნელი კენ ჰიჩკოკი

*2001-02: 90 ქულა და მე-4 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა*

დალასი დასავლეთის მონსტრთა შორის კი მოვიხსენიეთ, მაგრამ წინა სეზონში ყველასთვის მოულოდნელად „ვარსკვლავებმა" მკვეთრად დაიხიეს და ეს მაშინ, როცა სეზონის წინ გუნდმა ბლომად ფული დახარჯა სახელიანი მოთამაშეების შესაძენად. ისე დალასელთა ბოსები ამ ფიასკოს რატომღაც მშვიდად შეხვდნენ. მათ არც ამ ზაფხულს იძუნწეს და რამდენიმე ძვირადღირებული ვეტერანი შეიძინეს.

გუნდს შეიძლება წაადგეს წვრთნელის შეცვლა. კენ ჰიჩკოკი უდავოდ კარგი სპეციალისტია, მაგრამ ცხოვრება ასეა: დიქტატორის ტიპის მწვრთნელები დიდხანს ვერ უძლებიან გუნდს, მათსა და მოთამაშეების ურთიერთობაში არსებული დაძაბულობა თანდათან ბზარად იქცევა ხოლმე. ახალ მწვრთნელ, დებიუტანტ დეივ ტიპეტის დაპირებით, გუნდი უფრო ლაღ და გახსნილ ჰოკეის ითამაშებს, რამაც სტიმული უნდა მისცეს მაიკ მოდანოს, პიერ ტარჯონს და სხვა ლიდერებს, რომლებიც ჰიჩკოკის სისტემამ ერთობ შეზღუდა და ჩარჩოებში მოაქცია.

### ფინიქს კოიოტსი

**მოვიდნენ:** ფორვარდები ტონი ამონტე, კელი ბუკბერგერი; მეკარე ბრაიან ბუშე

**წავიდნენ:** ფორვარდები მიხალ ჰანდზუსი, დენის პედერსონი; მეკარე რობერტ ეში

*2001-02: 95 ქულა და მე-2 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში პირველი რაუნდიდან გავარდა*

ახალი პატრონების ხელში გაახალგაზრდავებულ ფინიქსში შარშან ხელახალი შენების პროცესი დაიწყო და ყველასთვის მოულოდნელად, „კოიოტები" პლეი ოფში გავიდნენ. ახლა მათგან უფრო მეტს უნდა ველოდეთ. გუნდმა ტონი ამონტესა და კელი ბუკბერგერის სახით ჩინებული მეგოლე და შეტევათა სულისჩამდგმელი დაემატა. მით უმეტეს, რომ თავკაცმა ბობ ფრენსისმაც (წინა სეზონში ლიგის საუკეთესო მწვრთნელად რომ აღიარეს) დაამტკიცა, რა შეუძლია. თუმც ისიც ცხადია, რომ წლეულს მეტოქეები უფრო სერიოზულად მოეკიდებიან ფინიქსს. თანაც დასავლეთის სამი დივიზიონიდან ყველაზე მძაფრი ბრძოლები სწორედ აქ გაჩაღდება.

### ლოს ანჯელეს კინგზი

**მოვიდნენ:** ფორვარდი ერიკ რასმუსენი; მცველი კრის მაკელპინი

**წავიდნენ:** ფორვარდები კლიფ რონინგი, ტედ დონატო, კელი ბუკბერგერი; მცველი ფილიპ ბუშე

*2001-02: 95 ქულა და მე-3 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში პირველი რაუნდიდან გავარდა*

დალასისა და ფინიქსისგან განსხვავებით, ლოს ანჯელესმა თავი აარიდა ფულის ხარჯვას და საკმაოდ მცირე შენაძენი იკმარა. მეტიც, „მეფეებმა" რამდენიმე ვეტერანი გაუშვეს, რითაც ახალბედებს ძირითადში მოხვედრის შანსი მიეცათ. ცხადია, ეს საკმაოდ სარისკო ნაბიჯია, მაგრამ გუნდში სჯერათ მათი და ელიან, რომ ისინი ღირსეულ პარტნიორობას გაუწევენ პალფი-ელისონ-დედმარშის წამყვან ტრიოს. აღსანიშნავია, რომ შარშან ლოს ანჯელესმა საშინლად დაიწყო და მხოლოდ უდიდესი ძალისხმევით შეძლო პლეი ოფში გასვლა. ცხადია, წლეულს „კინგსი" შეეცდება, არ გაიმეოროს შეცდომები.

### ანაჰაიმი მაითი დაქსი

**მოვიდნენ:** ფორვარდები ადამ ოუთსი, პეტრ სიკორა; მცველები ფრედრიკ ოლაუსონი, მაიკ კომოდორი, ტოდ რირდენი

**წავიდნენ:** მცველი ოლეგ ტვერდოვსკი; ფორვარდი ჯეფ ფრიზენი; მეკარე სტივ შილდსი

*2001-02: 69 ქულა და მე-5 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა*

სანამ გუნდის მფლობელი, „უოლტ დისნეის" კომპანია გაყიდვით არ დაიმუქრა, ანაჰაიმის მენეჯმენტი ერთ ადგილს მიჰყინვოდა. სახელგანთქმული მულტფილმების შემქმნელებს მობეზრდათ გაუთავებელი კრიზისი და „მძლავრი იხვების" სხვა ქალაქში გადაბარგებაზე ლაპარაკიც დაიწყო. თუმც წლეულს შეიძლება საქმე სასიკეთოდ შეუტრიალდეთ: ნიუ ჯერსისთან განხორციელებული გაცვლის შემდეგ გუნდში ფრედრიკ ოლაუსონი დაბრუნდა (შვედი უკვე სამშობლოში აპირებდა გამგზავრებას). მთავარი კი მაინც ოუთსის შეძენაა. როგორც იქნა, პოლ კარიას უმაღლესი დონის გამთამაშებელი პარტნიორი ეღირსა და ამ დუეტისა და პეტერ სიკორასგან შემდგარი წამყვანი ხაზი ერთობ იმედისმომცემია. როგორც ამბობენ, გუნდში ერთი-ორი უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდაცაა და ეგებ სწორედ ანაჰაიმი გახდეს სეზონის მთავარი სიურპრიზი.

**სამველ ლარიბიანი**



ფინიქსელ „კოიოტთა" სახელოვანი გამწვრთნელი ბობ ფრენსისი

ეროვნული ბიბლიოთეკა





საქართველოს ჰელსინკელები: მზია ჯუღელი, დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, გალინა მინაიჩევა-შარაბიძე, ოთარ ქორქია, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი, ნოდარ ჯორჯიკია

# ოლიმპიური საქართველო 50

**გუშინ** დილით საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ლამაზად დაწყებული ზეიმი ღამით „შერატონ მეტეხი პალასში" გამართული დიდებული მიღებით გასრულდა. ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ათლეტთა დებიუტის 50-წლიანი იუბილის აღსანიშნავ დღეს, ცხადია, სტუმრებიც მოიწვიეს. მათგან ბევრი ჩამოვიდა, ზოგმაც მიზეზთა გამო შორიდან მოგვილოცა იუბილე. ჩამოუსვლელთაგან ნაწილი ალბათ ყბადაღებულმა პანკისმა და კოდორმაც დააფრთხო. ამიტომაც საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ სტუმართა მიღებაზე მისმა პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა რუსეთის ეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტ ვლადიმირ ლოგინოვს ჩვეული ოხუნჯობით პანსიკიც უხსენა და კოდორიც. ეტყობა, რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტი და ჩემი მეგობარი ლეონიდ ტიაგაჩოვი პანკისმა ისე დააფრთხო, ჩამოსვლა ვეღარ გაბედა. ამიტომ მოსკოვში რომ დაბრუნდები, სიტყვა-სიტყვით ასე უთხარი, ჯანომ შემოგითვალა, შე ასეთო და ისეთო, რატომ არ ჩამოხვედი-თქო. ჯანო ბაგრატიონის ამ სიტყვაზე აზერბაიჯანისა და სომხეთის ეოკ-ების მესვეურები ჯერ შეცბნენ, მერე კი გულიანად გადაიხარხარეს, მით უმეტეს, რომ ქართული კონიაკით ტონუსმიცემულები იყვნენ. მერე ის ქართული ნახევრადსალანძღავი სიტყვა ევროპის ეოკ-თა გენერალურ მდივანსა და ირლანდიის ეოკ-ის პრეზიდენტსაც უთარგმნეს. ვერ გეტყვით, თარგმანში რა გამოვიდა, მაგრამ, ეტყობა, კარგი რამ გამოვიდა, რადგან პატრიკ ჰიკიც ჩაბჟირდა, რომელიც ახლა მესამედ გვეწვია თბილისში. იმათ იკითხონ, ვინც ვერ ჩამოვიდა, თორემ პატრიკ ჰიკი ამ ვიზიტითაც ისეთი კმაყოფილი დარჩა, რომ როგორც თავად გვითხრა, მეოთხედაც გვეწვევა და მეხუთედაც.

ბაგრატიონთან მიღებაზე ჩვენი ეოკ-ის პრეზიდენტი მისმა უკრაინელმა კოლეგა ივან ფედორენკომ თავისი ქვეყნის ოლიმპიური მედლით დაგვიჯილდოვა, არც გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი დაივიწყა და არც ჩვენი ოლიმპიური მუზეუმი, რომლის ექსპონატები ქართველი და უკრაინელი სპორტსმენების მეგობრობის ამსახველი ფოტოებით გაამდიდრა.

გუშინდელი საიუბილეო პროგრამის მთავარი ღონისძიება თბილისის ოპერაში გაიმართა. ამ მშვენიერმა საღამომაც, რომლის რეჟისორიც გახლდათ დავით საყვარელიძე, სულ ცეკვა-სიმღერით, იუმორით და სპორტის ვარსკვლავთაცვენით ჩაიარა. თავიანთი ხელოვნება გვიჩვენა მერაბ სეფაშვილმა, ლელა წურწუმიამ, ნატო მეტონიძემ, ეკა მამალაძემ, ანსამბლმა „ფასიზმა"... ფანფარების აკომპანიმენტით ეკრანზე გაცოცხლდა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ ოლიმპიელთა გამოსვლების ამსახველი კადრები, სცენაზე კი რიგრიგობით გამოვიდნენ ჩემპიონები მზია (მედეა) ჯუღელი, დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, გალინა მინაიჩევა-შარაბიძე; ვერცხლის პრიზიორები ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია; ბრინჯაოს მედლის მფლობელი ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი, რომლებიც საქართველოს ეოკ-ის ორდენებით იქვე დაჯილდოვდნენ.

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გაგვაცნო საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება „დიდ სპორტში მოღვაწეობისას გამოვლენილი ოსტატობისა და თავდადების, მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსისა და პატრიოტიზმისათვის, საქართველოში ოლიმპიზმის დანერგვის, პოპულარიზაციის, ქართული სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და XV ოლიმპიურ თამაშებში ნაჩვენები ბრწყინვალე შედეგებისთვის, რომლებმაც სათავე დაუდეს საქართველოს სასახელო ოლიმპიურ ტრადიციებს", დაჯილდოვდნენ ჰელსინკის ოლიმპიური ჩემპიონები ვახტანგ გორგასლის II, ხოლო პრიზიორები III ხარისხის ორდენებითო. რაც შეეხება დაჯილდოებას, ეს მისია ავთანდილ ჯორბენაძემ შეასრულა.



დაჯილდოების მონაწილე მსახიობი ია ფარულავა და დავით ციმაკურიძე



მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძე

ამას გარდა, ჩვენი ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ოლიმპიურმა ფონდმა, რომლის პრეზიდენტიც ბადრი პატარკაციშვილი გახლავთ, 10 000-10 000, ხოლო სხვა პრიზიორები 9 000-9 000 ლარით დააჯილდოვა.

იმ დღეს არც ჰელსინკის ოლიმპიური ჩემპიონი არსენ [illegible], მეორე პრიზიორი ლევან სანაძე და ნინო დუმბაძე დაივიწყეს, რომლებიც ამ იუბილეს ვერ მოესწრნენ და გარდაცვალების მერე საქართველოს [illegible] ორდენებით დაჯილდოვდნენ.

ჰელსინკის მედალოსნები [illegible]ლებოდ არც პატრიკ ჰიკმა დატოვა და მათ ევროპის ეოკ-თა სიგელები და ჯილდოები გადასცა.

იგივე ორდენით, ოღონდ „შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ მიღებაზე, დაჯილდოვდა თავად პატრიკ ჰიკიც.

ეს ყველაფერი იყო პირველ ქართველ ოლიმპიელთა დაფასების დღე, მათი სახელები კი მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა, მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძემ უკვდავყო მშვენიერ მარმარილოს ფასადზე, რომელმაც საიუბილეოდ ეოკ-ის შტაბ-ბინა დაამშვენა და ის დღეს სწორედ იმ თავისებური ოლიმპიური სტენდის გახსნის საზეიმო ცერემონიალით დაიწყო.

**ავთანდილ ტყვიშვილი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



ვახტანგ გორგასლის ორდენოსნები: მზია ჯუღელი, დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი



პატრიკ ჰიკმა „ოლიმპიური" შამპანურიც შეათვალიერა

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS

# დაიღუპა

ეს ბიჭი დაიღუპა. ვანგ ჟიაშონგი, ექსტრიმ-ველოსპორტის მხედარი იყო და ჩინეთის დიდ კედელზე გადაფრენა უნდოდა. ის ლამის ოთხმოცი მეტრის სიშორიდან დაიძრა, საგანგებო ფიცარნაგიდან აფრინდა და დაშვებისას, 35 მეტრის სიმაღლეზე დაკარგა წონასწორობა.





# ოფლითა შენითარ

ენბიეის ბევრმა გუნდმა უკვე მეორე სავარჯიშო შეკრება დაიწყო ახალი სეზონის წინ და ასეთ დროს კაცს ოფლი ღვარიანად გასდის. ველოსიპედებს შეჭიდებიან მაიამელები, ბრაიან გრანტი (მარცხნივ) და კენ ჯონსონი.



REUTERS

# თიხა მღერის

მალე მოტო-ჯი-ფი-ს წყნარი ოკეანის პრიზი გათამაშდება ტოკიოში. მანამდე კი რკინის მხედრები მექოთნეთა საამქროს სწვევიან და ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ თიხა მღერის. ფრანგი ოლივიე ჟაკი აშკარად კარგ ხასიათზეა.

# ეგ არაფერიო

ამ კაცს რა შეამჩნევს: „ოკლენდელ მეომართა“ ლიგის რაგბის მოთამაშე კევინ კემპიონი წინა კვირის თამაშში დაშავებულა და ნაკერების ოდენობა მის შუბლზე თავად ათვალეთ. ისე კი, კევინი ამთქნარებს. არადა, წინ ლიგის დიდი ფინალია.



REUTERS



REUTERS

# კაბადი

მაინც მეტად საინტერესო რამ არის ეს აზიური თამაშები. აბა, სხვაგან სად ნახავ, რომ ინდონი და მალაიზიელნი კაბადიში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კაბადი უძველესი თამაშია, რომელშიც არის ჭიდაობის, რაგბის, დაჭერობანა-გაშეშობანას და, რა თქმა უნდა, ჩვენებური ორდროშობანას ელემენტები. მთავარია, შენს ნახევარზე დააკავო იქ შემოპარულ-შემოფრენილი რაც შეიძლება მეტი მოწინააღმდეგე.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი.

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge